


საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საძმომი, ბოგობივ ბეჭდ-
უძი სიფყავა, ცყუილებით და ქაბიბით ბუბ-
თის გაფანა ყველა უჯადისბაზაგ უსაბაგოლსია.

სამშაბათი, 6 ივნისი. 2017 წ. №112 (8249), გამოცემის 99-ე წელი

ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ფასი 50 თეთრი.



2-3

გაპლენის აბენტ შურნა- ლისტებსა და ენჯეოშენიკებს!

ქაღლი უინ არ ვარბოდა...

ბაკურცინის კულტურის ცენტრის უნეობა საპატრიარქოს გადაცემა

შენეობა 3 045 300

ლარის ღირებულები-
ბისაა. კულტურულ-
საგანმანათლებლო
და სამეწარმეო სახ-
ლის გახსნის მიზნით
ობიექტის პირდაპირი
განკარგვის წესით გადაცემას გურჯაანის საკრე-
ბულოში გუშინ უყარეს კენჭი და გადაწყვეტილება
ერთხმად მიიღეს. ბაკურცინის კულტურის ცენტრის
რეაბილიტაცია, რომელზეც 2 მილიონ ლარი დაი-
ხარჯა, ხელისუფლებისა და „მსოფლიო ბანკის“ და-
ფინანსებით განხორციელდა.



11 რაიონულ სასამართლოში თავმჯდომარეები დაინიშნა

იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ რაიონ-
ულ სასამართლოებში თავმჯდომარეები
დანიშნა. საბჭო ყველა კანდიდატთან მიმარ-
თებაში ერთსულოვანი აღმოჩნდა: კენჭისყ-
რაზე არც ერთი განსხვავებული პოზიცია
არ დაფიქსირებულა.

ბათუმში თავმჯდომარედ დავით მამისე-
იშვილი აირჩიეს, ზუგდიდში – ნატრული აკობია,
თეთრიწყაროში – ვლადიმერ ხუჭუა, რუსთავეში –
მამია ფხაკაძე, სამტრედიისში – ლევან მუშველიანი,
საჩხერეში – ივანე ყიფიანი, ქუთაისის სააპელაციო
სასამართლოში – დიმიტრი გვრიტიშვილი, გორში –
ნიკოლოზ მარსაგიშვილი, ბოლნისში – თეა ლეო-
ნიძე, ფოთში – თეიმურაზ სისარულიძე, ხელვაჩაურ-
ში – სვიჩა კიკილაშვილი.

საქართველო ებრაელი მოგზაურთათვის

იשראלის წამყვანი მედიასაშუალებების წარმო-
მადგენლები საქართველოს ტურისტულ მიმართულებ-
ბას გაეცნენ. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების
სამინისტროს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაცი-
ამ ისრაელიდან პრესტურს უმასპინძლა. სუთდლიანი
ტურის ფარგლებში მაღალრეიტინგული ტელეკომ-
პანიების, რადიოს, ჟურნალ-გაზეთებისა და ინტერ-
ნეტპორტალის წარმომადგენლებმა მცხეთა, გუდაურ-
ი, ყაზბეგი, ქუთაისი, პროშეთეს მღვიმე და გორი მო-
ინახულეს. ჟურნალისტთა მ-კაცინამა ჯგუფმა თბი-
ლისის სინაგოგა და ეთნოგრაფიული მუზეუმი დაათ-
ვალიერა. სტუმრებს დაურიგდათ თემატური ბროშურ-
ები „საქართველო ებრაელი მოგზაურთათვის“ გა-
დასცა. ბროშურა ინგლისურ და ებრაულ ენებზე მომ-
ზადდა და საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში არ-
სებული სინაგოგებისა და ებრაელთა ისტორიის მუ-
ზეუმის შესახებ ინფორმაციას მოიცავს.

جاهل

4

რბ მნს
ნახდეს...



ილაპარაკეთ,
ყველაფერზე
ილაპარაკეთ
და...

9

© თავზარღამცვიმი დემოგრაფია

როცა ქურდი თითს სხვისკენ იშვებს...



8



„აბბ რბ, მოჯახზე
საუკეთესო
რბლა უნდა
იყოს?!“

12

მიზანმიმართული სავსოპერაცია....

როგორც თანდათან ნათელი ხდება, ნაციონალთა და, კერძოდ,
ქართველი ჰებელსის – ბოკერიას პოლიტიკური სპეცოპერაცი-
ის „ციხანიდის“ უმთავრესი მიზანი არა იმდენად უმაღლესი სა-
სულიერო პიროვნების სიკვდილი, რამდენადაც თვით ქართუ-
ლი მართლმადიდებლური ეკლესიის მოკვდინება იყო, რაც გარ-
კვეული აზრით, კვლავ დაჟინებით გრძელდება!



ირაკლი კობახიძე: საკონსტიტუციო ცვლილებების კანონპროექტში ცვლილებები უსწორებლად უნდა

ირაკლი კობახიძემ პარლამენტში კანონპროექტის განხილვის დღის წესრიგი და გრაფიკი წარმოადგინა. მისი თქმით, ორშაბათიდან პარასკევს ჩათვლით საკონსტიტუციო მოსმენები ჩატარდება. „ჩვენ გვინდოდა, რომ სასეციო განხილვები 12 ივნისს და 26 ივნისს გამართულიყო, თუმცა ვენეციის კომისიის სხდომა დაინიშნა 16 ივნისს. ჩვენ გადაწყვიტეთ, რომ დაველოდოთ ვენეციის კომისიის რეკომენდაციებს, ამიტომ 12 ივნისს ველარ მოხერხდება პლენარული ჩატარება და დაგეგმირდება რიგგარეშე სხდომის მოწვევა.“ — განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარე.

ირაკლი კობახიძის თქმით, საკონსტიტუციო ცვლილებებზე პირველი პლენარული სხდომა 19 ივნისს გაიმართება, სადაც, სავარაუდოდ, პირველი მოსმენით მიიღებენ ცვლილებებს. შემდეგ კანონპროექტზე ისევ საკონსტიტუციო განხილვები ჩატარდება და უკვე რიგგარეშე სხდომაზე მეორე მოსმენით მოხდება კანონპროექტის მიღება. პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებით, არსებულ კანონპროექტში ცვლილებები აუცილებლად უნდა. მისი თქმით, უნდა დაველოდოთ საკონსტიტუციო განხილვებს და ვენეციის კომისიის დასკვნას და ამის შემდეგ გაცხადდება პოზიცია ცვლილებებთან დაკავშირებით.

„ბუნებრივია, დოკუმენტი გადაისინჯება, შევა მთელი რიგი ცვლილებები საყოველთაო განხილვების და ვენეციის კომისიის რეკომენდაციების გათვალისწინებით.“

ამის შემდეგ უკვე გადასინჯული დოკუმენტი შევა სასესიო განხილვებზე,“ — დასძინა ირაკლი კობახიძემ.

კონსტიტუციის რეფორმის ნინააღმდეგ დესტრუქციული გეგმა პარლამენტმა შეაღბინა

მმართველი გუნდის შიგნით პრეზიდენტის პირდაპირი წესით არჩევას აპროტესტებენ, — ამის შესახებ პარლამენტის თავმჯდომარემ ჟურნალისტებთან განაცხადა.

„კომპრომისის საფუძველზე შეგვედლო, დაგვეტოვებინა მომავალ წელს პრეზიდენტის პირდაპირი არჩევის წესი პერსონალური ფაქტორის გათვალისწინებით, რომელიც მოქმედ პრეზიდენტს უკავშირდება. საუბარი იყო იმაზე, რომ არსებული მოვლენების გათვალისწინებით, კომპრომისმა აზრი დაკარგა. ეს იყო კონკრეტული დეპუტატების პოზიცია. ამ საკითხზე კიდევ ერთხელ გვექნება მსჯელობა. შეიძლება ვიფიქროთ ორ ალტერნატიულ გადაწყვეტაზე. საბოლოო ჯამში პოზიცია პარლამენტის შიგნით უნდა ჩამოყალიბდეს“, — განაცხადა კობახიძემ.

როგორც თავმჯდომარემ აღნიშნა, კონსტიტუციის რეფორმის ნინააღმდეგ დესტრუქციული გეგმა პრეზიდენტის მიერ შედგა და დაიგეგმა.

„გარკვეული დესტრუქციული გეგმები შედგა და დაიწყო მათი განხორციელება. რეალურად ეს დაიგეგმა და განხორციელდა სამწუხაროდ, პრეზიდენტის და მისი ადმინისტრაციის უშუალო ჩართულობით, რაც არის ძალიან შემოფოტებული, მით უმეტეს იმ პირობებში, როდესაც პრეზიდენტს ამ სისტემაში აკისრია ძალიან მნიშვნელოვანი ფუნქცია და ძალიან სამწუხაროა, რომ პრეზიდენტი ასეთ პირობებში გეგმავს დესტრუქციულ ქმედებებს საკონსტიტუციო რეფორმის ნინააღმდეგ. ეს გეგმა სამწუხაროდ, არა წარმატებულად, მაგრამ მაინც შედგა. ასეთ შემთხვევაში ლოგიკურია შევითხვა, კომპრომისს რამდენად აქვს აზრი“, — აღნიშნა ირაკლი კობახიძემ.

„ქართული ოცნების“ მხარის კანდიდატის წარდგენა პარტიის პოლიტსაბჭოს გადაწყვეტილების შემდეგ

„ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატის წარდგენა პარტიის პოლიტსაბჭოს გადაწყვეტილების შემდეგ

მოსდება, — ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ განაცხადა. ირაკლი კობახიძის თქმით, პარტიას კანდიდატის დასახელების თავისი პროცედურები აქვს, რომელიც მმართველ გუნდს არ გაუვლია.

„კანდიდატების დასახელებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას პოლიტსაბჭო იღებს. მას შემდეგ, რაც „ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭოს შეხვედრა შედგება, გადაწყვეტილება მიიღება და შეგვეძლება, კანდიდატის წარდგენასთან დაკავშირებით ვისაუბროთ. შემოძლია, დავადასტუროთ, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით გუშინ იყო საუბარი და პოლიტსაბჭოს სხდომას უნდა დაველოდოთ, სადაც გადაწყვეტილება მიიღება და ეს უახლოეს მომავალში მოხდება“, — განაცხადა კობახიძემ.

გავრცელებული ინფორმაციით, „ქართული ოცნების“ თბილისის მერობის კანდიდატი ენერგეტიკის მოქმედი მინისტრი კახი კალაძე იქნება. „ქართული ოცნების“ კანდიდატს საზოგადოებას პრემიერ-მინისტრი გიორგი კვიციანიშვილი წარუდგენს.

დაპით ნარმანი: ძალიან საინტერესო გადაწყვეტილებას ველოდებით, მათ შორის, ჩემთან დაკავშირებით, რამდენად დაკავშირებით



ძალიან საინტერესო გადაწყვეტილებებს ველოდებით, მათ შორის, ჩემთან დაკავშირებით, — განაცხადა თბილისის მერმა დავით ნარმანიამ. მისივე თქმით, მერობის კანდიდატზე კონსულტაციები მიმდინარეობს. „როგორც თქვენთვის ცნობილია, მიმდინარეობს კონსულტაციები. როგორც კი დასრულდება, შედეგები თქვენთვის ცნობილი იქნება. წინასწარი განცხადებებისა და შეფასებებისგან უმჯობესია, შევიკავოთ თავი. ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს ველოდებით, მათ შორის, ჩემთან დაკავშირებით“, — განაცხადა დავით ნარმანიამ.

მისივე თქმით, კონსულტაციებში თავადაც არის ჩართული და კახა კალაძის კანდიდატურას მისი მხარდაჭერაც ექნება.

გავლენის აგენტ ჟურნალისტებსა და ენჯოუნსიკებს!

ქაღლი შინ არ ვარბოდა...

რამდენიმე დღის წინათ გავრცელდა ინფორმაცია, რომ აზერბაიჯანელი ჟურნალისტი აფგან მუხთარლი თბილისიდან გაიტაცეს და ბაქოშია დაპატიმრებული. მისი თქმით, ის აზერბაიჯანის მხარეს საქართველოს უშიშროების ძალებმა გადასცეს.

რა თქმა უნდა, ჩვენი ენ. „უფლებადამცველები“, ენ. „ჟურნალისტები“ და ენ. „პოლიტიკოსები“ სასტიკად შეშფოთდნენ და მთავრობის კანცელარიის წინ საპროტესტო აქცია გამოაცხვეს ლოზუნგით — „სოლიდარობა აფგან მუხთარლისა“

ნამდვილად არ მინდოდა, რაიმე დამეწერა ამ ფაქტთან დაკავშირებით, მით უმეტეს, რომ არ მქონ-

და არანაირი ინფორმაცია არც აფგან მუხთარლის ჟურნალისტური მოღვაწეობის შესახებ და არც გამოძიების დეტალებზე მიმიწვდებოდა ხელი. ხელი-სუფლება მაშინვე გამოემართა საქართველოს სახელმწიფოსთვის ამ ნამდვილად არასასიამოვნო მოვლენას და გამოძიებაც დაიწყო, მაგრამ საზოგადოებაში გაჩენილმა სხვადასხვა, ერთმანეთის გამომრიცხავმა მოსაზრებამ, ბუნებრივია, დამინტერესა.

პირველ რიგში საინტერესოა, თუ ვინ არის ბატონი მუხთარლი და რა ინფორმაცია არსებობს მასზე.



ინტერნეტ გამოცემა „რეპორტიორი“ გამოქვეყნდა გია შარაშენიძის წერილი „SOS — ვინ არის სინამდვილეში აფგან მუხთარლი“, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ:

„2013 წელს აზერბაიჯანის რადიკალურმა ოპოზიციამ თბილისში დაიდო ბუდე. მისი ლიდერები არიან: რუსტამ იბრაგიმბეგოვი, ელდარ ნამაზოვი და ალი ქერიმლი. მათი მიზანია ფერადი რევოლუციის მოწყობა აზერბაიჯანში. 2016-ის მარტში ოპოზიციის ლიდერი გეზილ ბაირამლი სამჯერ იყო თბილისში თავის აქტივისტებთან ერთად და ორ-ორი დღით რჩებოდა. ისინი კაზახის მხრიდან შემოდიოდნენ და ბაქათაღის გავლით ბრუნდებოდნენ უკან. თბილისში ხვდებოდნენ დასავლელ ემისრებს, იღებდნენ ფულად სახსრებს, ინსტრუქციას. ელდარ ნამაზოვთან ერთად ცნობილი კრიტიკოსი და ალიევის შეურიგებელი ჟურნალისტი ქალი

მესრიბან ვეზირი იმყოფებოდა კონფერენციაზე თბილისში, რომელიც 2016 წლის 9 მარტს დასრულდა, მაგრამ საქმიანი შეხვედრების გამო, პირველ აპრილამდე დარჩა აქ. ასევე იმყოფებოდა არიფ გავილი და მესამედ ჩამოსული, პარტია „ოპორტუნისტების“ აპარატის უფროსი საბირა რუსტამხანალი სამირ ასადლი. ხშირად საკუთარი ავტომობილებით ჩამოდიოდნენ პროამერიკული პარტია „რეალის“ წევრებიც. 2016 წლის რეფერენდუმის წინ ნათიკ ჯაფარლიმ მიტინგებისა და პლაკატებისთვის დიდი ფულადი თანხა გააანაღდა თბილისში. ყველა ეს ოპოზიციონერი, თბილისში მცხოვრებ დაშინებულ ლაროვს ხვდებოდა, რომელიც გაეროს პასპორტით და იმუნიტეტით სარგებლობდა, მაგრამ აზერბაიჯანის შს-მ ყველაფერი იღონა, რათა გაეუქმებინათ მისი პრივილეგიები, ხოლო ჩამოსულმა ოპოზიციონერებმა მიმართეს

პრეზიდენტ მარგველაშვილს, რათა აგალაროვი არ გადაეცათ ალიევის მთავრობისთვის. აგალაროვი კი აქტიურად აგრძელებდა ალიევის წინააღმდეგ გაჩაღებულ კამპანიას. აფგან მუხთარლი კარგად არის ცნობილი აზერბაიჯანელ ჟურნალისტთა წრეში, მაგრამ ჟურნალისტი არ არის. ის სკანდალური ჟურნალისტის ხაჯიჯა ისმაილოვას მცველი იყო. მუხთარლი ისმაილოვას დაპატიმრებისთანავე თბილისში გამოიქცა ბაქათაღის ტყვეობის გამოვლით და ფრიდომ ჰაუსთან, ჰუმან რაით უოქთან და ენდიის დაქირავებულ და ყოფილ ნაციონალთან თარხნიშვილთან თანამშრომლობდა. თბილისში შეერთო რევოლუციონერი ცოლი — ყოფილი ჟურნალისტი და მუსავატების პარტიის ყოფილი პრეს-ცენტრის უფროსი ლეილა მუსტაფაევა, იგივე ლეილა ილგარიქი, ასევე, ბაქოდან თბილისში გამოქცეული, სადაც

ცხოვრების უფლება მიიღო, როგორც ჯიბას სტუდენტმა. მათ გვერდით აღმოჩნდა ილგარ ვალიევი. 2016 წელს ეს ფსევდო-ჟურნალისტი ვალიევი, აგდამის რაიონის, სოფელ ჩირაგლისის საფრონტო ზონაში აღმოჩნდა, სადაც ფოტოგადაღება აუკრძალეს და ადამიანის უფლებების დარღვევებზე დაიწყო განცხადებების კეთება, რაც კარგად აიტაცა ხაჯიჯა ისმაილოვმა და თბილისში მუხთარლისთან გადმოიყვანა, რათა მას ფულით დახმარებოდა და ბერლინის „TV-მედიანში“ გაეგზავნა კურსებზე. ბერლინის შემდეგ ვალიევი თბილისში დაბრუნდა და „TV-მედიანში“ დაიწყო მუშაობა.

ყველა ოპოზიციონერი ჩერებოდა loft Hostel-ში, რომლის მეპატრონეც გახლავთ ზარიფა გულიევა-შამიევა (36 წლის) და მისი მეუღლე (26 წლის) ტურალ გურბანოვი. სწორედ ტურალი ხვდება ჩამოსულ ოპოზიციონერებს და ზარიფას პოტელში მიყავს. ამ სასტუმროს მცხოვრებია აზერბაიჯანის ყოფილი პროკურორი ვიდადი ისკენდერი, რომელიც გაუჩინარებულად ითვლებოდა ბაქოში. ის ცდილობს, ჩამოყალიბოს უფლებადამცველთა ორგანიზაცია „კავკასიის თავისუფლების ცენტრი“, რომლის ანალოგიაც არსებობს ამსტერდამში და მისი დამაარსებელი

„უსხო ქვეყნის მოქალაქეებზე მინაბი არ უნდა სხვისდაგოდას“

დავით ნარმანიას თქმით, ამ საკითხთან დაკავშირებით კონსტიტუციაში ჩანანერის გაკეთების თაობაზე შესაბამის გადაწყვეტილებას ამ საკითხზე მომუშავე ჯგუფი მიიღებს — „პოლიტიკურად გადასაწყვეტი საკითხია. რასაკვირველია, ჯგუფი, რომელსაც ეს ხელენიფება, მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას და ეს ყველაფერი იქნება დოკუმენტურად ასახული“, — განაცხადა თბილისის მერმა.

საპარლამენტო სამუშაო განხილვა კონსტიტუციით პარტი იქნება განსაკუთრებული

რომპოც საკითხთან დაკავშირებით გუშინ გამართულ კონფერენციაზე პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ განმარტა, პარლამენტისა და მთავრობის პოლიტიკით განისაზღვრება, თუ როგორ უნდა იყოს განხილვის სისტემა და იარსებებს თუ არა სავალდებულო განხილვა.

„ეს კონსტიტუციის დონეზე აღარ იქნება მოწესრიგებული. შესაბამისად, მთავრობის და პარლამენტის გადასაწყვეტია, თუ როგორ ჩამოყალიბდება სამხედრო განხილვის სისტემა“, — განაცხადა კობახიძემ.



პლა მარშანი სიხუში უნდა იქცეს

პარლამენტში, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთან დაკავშირებით კომისიის სხდომაზე დაპირისპირება მოხდა. სხდომაზე ოპოზიციური ჯგუფის წევრები, ტერიტორიაზე განათლების სისტემაში არსებულ ვითარებაზე, ქართული ენის უფლებრივ მდგომარეობაზე მსჯელობდნენ. დეპუტატმა ადა მარშანიამ სხდომის დახურვა მოითხოვა, რასაც დაპირისპირება მოჰყვა. შეხვედრის ერთ-ერთმა მონაწილემ ადა მარშანიას მიმართა, რომ ის ციხეში უნდა იქცეს.



აზერბაიჯანელი ჟურნალისტების აღგან მუსთარლის ოჯახის ადვოკატმა არჩილ ჩოფიკაშვილმა მთავარ პროკურატურას მიმართა.

„დაკავებულია და მისი ოჯახის წარმომადგენლების თქმით, ის გაიტაცეს ქართველმა სამართალდამცველებმა და ამ საქმეს რომ შსს იძიებს, არალოგიკურია“, — ცხადია ჩოფიკაშვილი. მისივე თქმით, სათვალთვალო კამერებიდან ვიდეომასალა დაუყოვნებლივ უნდა იქნას ამოღებული, სადაც დაკავებამდე ჟურნალისტის გადაადგილება ასახული.

აზერბაიჯანელი ჟურნალისტის აღგან მუსთარლის ოჯახის ადვოკატმა არჩილ ჩოფიკაშვილმა მთავარ პროკურატურას მიმართა. „დაკავებულია და მისი ოჯახის წარმომადგენლების თქმით, ის გაიტაცეს ქართველმა სამართალდამცველებმა და ამ საქმეს რომ შსს იძიებს, არალოგიკურია“, — ცხადია ჩოფიკაშვილი. მისივე თქმით, სათვალთვალო კამერებიდან ვიდეომასალა დაუყოვნებლივ უნდა იქნას ამოღებული, სადაც დაკავებამდე ჟურნალისტის გადაადგილება ასახული.

ნაციონალური ბრალს სდაგან

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ პრემიერ-მინისტრს აზერბაიჯანელი ჟურნალისტის საქმეზე შინაგან საქმეთა

მინისტრის, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელისა და განათლების მინისტრის თანამდებობიდან გადაყენებისაკენ მოუწოდებს. „ნაციონალური მოძრაობის“ წევრის ნიკა რურუას განცხადებით, აზერბაიჯანელი ჟურნალისტის მოტაცების ფაქტი საერთაშორისო არენაზე საქართველოს პოზიციებს აზიანებს. მისივე თქმით, ეს თანამდებობის პირები დეზინფორმაციის კამპანიას აწარმოებდნენ მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, ხელისუფლება კი ამ აზრს ადეკვატურ რეაგირებას არ ახდენს.

„აზერბაიჯანელი ჟურნალისტის აღგან მუსთარლის მოტაცება, როგორც ეს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა და ევროპის კავშირმა შეაფასა, ყოველ მიზეზსააგარეშე კონგრეტული პირების მიერ საკუთარ თავზე პირადი პასუხისმგებლობის აღებას მოითხოვს. ეს და ყველა მსგავსი სამარცხვინო და დანაშაულებრივი ფაქტი ყველანაირ პერსპექტივას უსაბუხს ჩვენს ქვეყანას, საერთაშორისო არენაზე საქართველოს პოზიციებს აზიანებს. შესაბამისად, აუცილებლად მიგვაჩნია, რომ ხელისუფლებამ ადეკვატური რეაგირება მოახდინოს, რასაც ის დღემდე შეგნებულად არ აკეთებს,“ — განაცხადა ნიკა რურუამ.

მისივე თქმით, თუ ეს პირები არ გადადგებიან, ან მათ პრემიერი არ გაათავისუფლებს, მაშინ „ნაციონალური მოძრაობა“ მთავრობის მთელი შემადგენლობის გადადგომას მოითხოვს.

აზერბაიჯანელი ჟურნალისტის სპირატორ გატაცება სწრაფ გამოძიებას საჭიროებს

აზერბაიჯანელი ჟურნალისტის გატაცების ფაქტს ევროკავშირის საგარეო ქმედებათა სამსახური ეხმარება.

ვებგვერდზე გამოქვეყნებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ საქართველოში მცხოვრები წარმოშობით აზერბაიჯანელების სავარაუდო გატაცება და თავისუფლების თვითნებური აღკვეთა, რასაც აზერბაიჯანში დაპატიმრება და ბრალის წაყენება მოჰყვა, საჭიროებს სწრაფ, საფუძვლიან და გამჭვირვალე გამოძიებას.

„ველით, რომ პროცესი კანონის პატივისცემით და მოქალაქეების უფლებების დაცვით წარიმართება, მათ შორის, იმ ადამიანთა უფლებების დაცვით, ვინც უცხო ქვეყანაში კანონიერად ცხოვრობს. ევროკავშირი ყურადღებით მიადევნებს თვალს მიმდინარე პროცესებს“, — ნათქვამია ევროპის საგარეო ქმედებათა სამსახურის სპიკერის განცხადებაში.

გავლენის აზერბაიჯანელი ჟურნალისტისა და ენავიწიკის

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს პარლამენტის უსაფრთხოების სამსახურის მხრიდან უსაფრთხოების განხილვის მიზნით. „ეს არა მარტო კრიტიკულად არამედ მტრულად განწყობილია ილხამ ალიევის მიმართ.“

პეტრიანიშვილზე ცხოვრობენ: 10 ამერიკელი და აზერბაიჯანელი — ოპორტიონალი ელვი ალიევი და ფერგანა ნოვრუზოვა, რომლებიც გეგმავენ გახსნის ფრონტს ბაქოსთან.

ცნობილი ექიმი და კლინიკა „ლანცეტის“ მფლობელი ფარმან ჯერიანი, რომელიც დაბადებულია საგარეო ქვეყანაში და თბილისში 2013-ში ჩამოვიდა, მიიღო რა მოქალაქეობა, ის შევიდა მეჭიაურის პარტიაში და იქიდან ცდილობდა საქართველოს პარლამენტში მოხვედრას.

სწორედ ჯერიანილია „TV-მეიდანის“-ს პატრონი.

P. S. ეს ყველაფერი კი იმისთვის, განსაკუთრებით დავწერე, რომ ცრუ წარმოდგენები არ გქონდეთ და მისხვდეთ, თუ რა ხდება ჩვენი დედაქალაქიდან დამეგობრებული აზერბაიჯანის მიმართულებით და, რაში ჭირდება ჩვენ ქვეყანას ხალხის ამოდგომა, ან ზედმეტი და არასაჭირო სტატუსების წერა.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ინფორმაციის გარემოცვით ხმებოლი და ლალი მოროშკინას მიერ სოციალურ ქსელში გამოქვეყნებულ სტატუსს, გია შაშინიძის წერილის შემდეგ, უფრო განმამტკიცდა მოსაზრება, რომ ჩვენი ე.წ. „გავლენიანი“ არასამთავრობო ორგანიზაციები, ე.წ. „ჟურნალისტები“ და „პოლიტიკოსები“, საკუთარი მატერიალური თუ მსოფლი-

ხედვლობითი ვნებების დასაკმაყოფილებლად მზად არიან, ჩვენი ქვეყანა დამლუჯვლ თამაშში ჩართონ. გთავაზობთ ლალი მოროშკინას მოსაზრებასაც:

„დამთავრდა ვარდისფერი რევოლუციების დრო! დამთავრდა „ენავიწიკური“ და როგორც მაკრონი იტყოდა, გავლენის აგენტი ჟურნალისტების დრო!

თავის დროზე შევარდნაძეს რომ აენთო „მენავიწიკური“ რეფორმატორებისთვის, იქნებ 320 000 მსჯავრდებული არ ყოლოდა ქვეყანას, იქნებ ჩვენი ფაქციების სისხლით არ მოწმურულიყო ქართული მიწა, არ დაგვეკარგა 160 სოფელი და არ გაგვეჩინა ხალხი საშოვარზე მსოფლიო მასშტაბით...“

არ არის ჩვენი ქვეყანა სხვისი იატაკქვეშეთის სათარეში! აზერბაიჯანი იქნება თუ სომხეთი, მათი ძალოვნები მიხედავენ. ჩვენ ჩვენ თავს მივხედით!!! ნუ გამოვალთ სხვისი სამხმარით სასემოზოკილი ჭირისუფლები“.

რალაც არ მახსენდება ჩვენი თავგანწირული ბიჭების მიმართ ასეთი თანადგომა სამეზობლოდან! — წერს მოროშკინა.

კიდევ ერთხელ მინდა, მივმართო ე.წ. „პოლიტიკოსებს“, გავლენის აგენტ ჟურნალისტებს და „ენავიწიკებს“:

ჩემო არცთუ ისე საყვარლო ხალხო, სამწუხაროდ, დღეს თქვენ ხელში ჩაგდებული გაქვთ ჩვენი სამშობლოს („სამშობლო“ — ოდნავ უფრო მეტი დატიკროვის მატარებელია, ვიდრე „ქვეყანა“, ან „სახელმწიფო,“) მართვაზე პრეტენზია. ცხადია, არაფერს გეტყვით არც ეკონომ-

იკაზე, არც საერთაშორისო ურთიერთობებზე და არც კოსმოდრომის აგების პერსპექტივებზე. „ცხადია“, რომ ეს თქვენ „ძალიან კარგად“ იცით. თქვენს ყურადღებას გავამახვილებ თქვენთვის არცთუ ისე სასიამოვნო ფაქტზე: — უკვე ვაგიფრულები ხართ. უკვე ყველამ კარგად იცის, რა მიზნებიც გამოძრავებთ და ამის დანახვისთვის არც მიკროსკოპი და არც „სხვიკის სისხლით დასვრილი“ სათვალეები არის საჭირო. ხალხმა ნათლად დაინახა თქვენი ნამდვილი სახე და სწორედ ხალხი გეუბნებათ არას! ხალხი აღარ ენდობა თქვენს ლაყაფს „ადამიანის უფლებებზე“, აღარ ენდობა თქვენს უაზრო ქიჩმაქსს, ისევე დააბრუნოთ ის ტირანია, რომლის წიაღშიც შესანიშნავად გრძობდით თავს და არ გახსენებდით არც ადამიანის უფლებები და არც ქვეყნის მოწყობის ცივილიზებული პრინციპები.

ასევე მივმართავ ხელისუფლებას და მთელ პოლიტიკურ „ბომონდს“: ჯეროვანი ყურადღება მიაქციეთ ბექდურ მედიას.

იმ ბექდურ მედიას, რომელიც ძალიან კარგად ვიცი (დამერწმუნეთ, იმაზე უკეთ, ვიდრე თქვენ ქვეყნის მოწყობის საკითხები) და რომელსაც საკმაოდ დიდ „იგნორს“ უკეთებთ და მონური მორჩილებით შესცქერით ელექტრონულ მედიას.

თავს უფლებას მივცემ, გითხრაო, რომ ის 5-ნამიანი „ვაშა“, „ძირს“, „არ ვარგა“ საზოგადოებაში არანაირ კვალს არ ტოვებს და მოსახლეობის მახსოვრობის ზუსტად იმდენივე პროცენტს იკავებს, რამდე-

ნი პროცენტი გამამართლებელი განაჩენიც გამოჰქონდა კუბლაშვილის სასამართლოს. დამერწმუნეთ, რომ იმ ელექტრონული მედიის წყალობით, თქვენზე მეტად პოპულარული სავაშ ბალდარი და „სტეფანე“ არიან, რადგანაც ადამიანებს სადამოშობო თქვენს ნახვას, რაიმე გასართობი გადაცემების ნახვა ურჩევნიათ. სწორედ ამიტომ, რომ ნაცმოძრაობა ამას კარგად იყენებს და თავის პროპაგანდას, სწორედაც გასართობი გადაცემების მეშვეობით ახორციელებს, ხოლო სოციალურად აქტიური ადამიანებისთვის სხვადასხვა პოლიტიკური გადაცემა აქვს, რომლებსაც დღევანდელ სატელევიზიო სივრცეში არსებული სექტორის გამო, ფაქტობრივად, ვერავინ დამარცხებთ.

მიაქციეთ ყურადღება და გაითვალისწინეთ, რომ რუსეთის იმპერია გაზეთმა „ისკრამ“ დაანგრიო, მოსკოვამდე „ფოლკიშერ ბოზახტერი“ მივიდა და „კაშინგტონ პოსტს“ უდიდესი გავლენა აქვს მსოფლიოს ნომერ პირველ სახელმწიფოზე.

ახლა არ თქვით — სად „ვაშინგტონ პოსტი“ და სად ქართული გაზეთები, რადგანაც გეტყვით — სად ამერიკელი პოლიტიკოსები და სად თქვენ! ანუ, რაც ვერი, ის ბერიო.

ყურადღება მიაქციეთ ბექდურ მედიას. მიაქციეთ, სანამ მას მართლაც ვეროვანი ყურადღება არ დაუთმია თქვენთვის. დამერწმუნეთ, გაზეთს ადამიანი სადამოთი სახლში კითხულობს, ნაკითხული ამასოვრდება და იმ გაზეთს სულ ცოტა ორი-სამი დღე ინახავს (განსაკუთრებით რეგიონებში),

ხოლო ტელევიზიიდან თქვენს მიერ „წამოსროლილი ლოზუნგები“, ორი ყურის პრინციპით მუშაობს.

არადა, რატომღაც მგონია, რომ ეს ჩემი მიმართვა არ იმუშავებს. არ იმუშავებს, რადგანაც პოლიტიკოსებისთვის უფრო ადვილია და „სასარგებლოა“ ყურადღება მიაქციონ ე.წ. „სახალხო დამცველის“ შემფოტებას და ერთ-ერთი ტაქსის მძღოლისა და მისი კომპანიის მიმართ გაცემული „რეკომენდაციას“, რომლითაც მოუწოდებს, რომ „შემუშავოს შიდა რეგულაცია, სადაც განსაზღვრული იქნება კომპანიის ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკა მომხმარებლის მომსახურებისას და კომპანიის ვებგვერდზე დაამატოს პარამეტრი, რომელიც კომპანიაში განვრცობის მძღოლის მიხედვით ინფორმაციას, კომპანიის ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკის შესახებ, რომელზე თანხმობაც განვრცობის წინაპირობა იქნება“ (ამ ორიოდ დღის წინათ ერთ-ერთმა ტაქსის მძღოლმა თავის ავტომობილში არ ჩასვა ტრანსგენდერი არსება, რის შემდეგაც ამ ტრანსგენდერმა მძღოლს სახალხო დამცველთან უჩივლა, რასაც ცხადია, მაშინვე მოყვა ე.წ. „სახალხო დამცველის“ მძაფრი რეაქცია).

არა რა, რესტორანში უნდა დავატიყო ნანუაშვილი და თორდია და ხუთ წუთში გავეპარო სუფრიდან, რადგანაც, სამწუხაროდ, მეტ გამოსავალს ვერ ვხედავ: **ბია გაზარიძე**

جاهل

უკვე ჩამოხსნეს. დანარჩენი ორი კი ყოველდღე-ურად გვესმის ქართული ტელე და რადიოეთ-რიდან. საქმე ის გახლავთ, რომ ნაკადულის ანა-ლოგია სიჩქარესთან სრული ანაქრონიზმია: ნა-კადული ჩქარა კი არ მიედინება, არამედ მიედინება სწორედაც ნელა - მირაკრაკებს, მიჩუჩუ-სებს და მისი ბობოქარ ცხოვრებასთან შედარება, უბრალოდ, კომიკურია. თუ ცხოვრების მაინცდა-მაინც მდინარესთან შედარება გვინდა, მაშინ ამის-თვის თერგი ან არაგვი უფრო გამოდგება (და არამც და არამც ნილოსი!)

დიდი მოკრძალებით შეგახსენებთ, რომ უფიცის აღსანიშნავად მშობლიურ ქართულში ტერმინების მთელი არსენალი მოგვეპოვება: უმეცარი, უგუნური, გონე-ბაჩლუნგი, ბრიყვი, შტერი, ყყყირი, ბრჯგუ, ბრყვილი, ბოთე, ჩერჩეტი, ყერყეტი, ცემტი, ხეტი, აბუეტი, ტეტერი, ბენტერა, აბდა-ლი, აფრაკი, აკარაკი, დოყლაპია, ბატის-ტინა, შუბლმაგარი, ჭკუათხელი, ლაყე, ხევრია, ლოქო, ლობიო, ყურყურა, ჩალფა-ჩუნა ... ეს იმაზე მიუთითებს, რომ ჩვენს ხანგრძლივ და საინტერესო ისტორიაში უმეცართა ლეგიონებიც გვყოლია და მა-თი დამახასიათებელია. ამის დასტურია თუნ-დაც ის ფაქტი, რომ უგუნური უმეცართა აღსანიშნავი ტერმინოლოგიის პარალელურად, მშობლიურ ქართულ-ში გონიერთა და ნიჭიერთა დასახიანებლადაც არანაკ-ლები არჩევანი გვაქვს: ნიჭიერი, გონებაგახსნილი, გო-ნებამოქნილი, მსჯელი, გამჭრიახი, აზრიანი, შორსმჭ-ვრეტი, გოგრიანი, გზიანი, ჭკუისკოლოფი, მოსწრე-ბული, ხერხიანი, გერგილიანი, გამგები, გამგებელი, მიხ-ვედრილი, შესმენილი, განმეცრეტი...

ჯაჰილ (ა) ზმნისგან წარმოებული არა-ბული სიტყვა, ჯაჰილ, ქართულად უფიცს, უმეცარს, გაუნათლებელს ნიშნავს. ამავე ფუძისგან ნაწარმოები ტერმინით الجاهل - ალ-ჯაჰილია (უმეცრების, ურწმუნობის ხა-ნა) მოიხსენიება ისლამადმდე ეპოქა არაბთა ისტორიაში. აქედანვე მომდინარეობს ჩვენ-თვის კარგად ნაცნობი „ჯეელი“ („ჯეილი“), რაც ქართულში ჯერ კიდევ დაუღვინებე-ლი, თავქარიანი ახალგაზრდა კაცის აღსა-ნიშნავად გამოიყენება.

ღმერთმა ინებოს, ვცდებოდე, მაგრამ მეჩვენება, რომ ბოლო 25 წელიწადი, მშობლიური ევროპისაკენ თავ-დავნიწყებული სრბოლის კვალდაკვალ, უფრო და უფ-რო ვფორმდებით მშობლიურ ენას, აზრის სიტყვიერად და წერილობით გადმოცემის უნარ-ჩვევებს.

მაგალითები, რომლებსაც ქვემოთ შემოგთავაზებთ, ალბათ ქართული ელექტრონული და ბეჭდური მე-დიდან. მისი ავტორები ბრძანდებიან საკმაოდ პოპუ-ლარული პოლიტიკოსები, იურისტები, ექსპერტები, ჟურნალისტები.

დავინწყით ბოლო ათწლეულში პოლიტიკოსების (უფრო ზუსტად - პოლიტიკას მიტმასნილი უფიცების) მიერ დამკვიდრებული და მოდურად ქცეული ტერმი-ნით „განმეორდები“ - „გავიმეორებ“ კი არა, „კიდევ ერთხელ ვიტყვი“ კი არა, არამედ ყოველად უაზ-რო, ბრიყვული და ქართული მეტყველების კულტურისთვის თავისმომჭრელად უცხო „გან-ვმეორდები“. გაგიკვირდებათ და, ამ სულელუ-რი გამოთქმისადმი თავდავიწყებული სიყვა-რულით გამოირჩევა ქართული ჯაჰილის ეპოქის („ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის) და შემდეგ „ევროპული საქართვე-ლოს“ დიდი ლიდერი **დავით ბაქრაძე**.

არ მინდა, ვინმე არაობიექტურობა დამნა-მოს - მე მართალი ვიქნები მხოლოდ იმ შემ-თხვევაში, თუ ხალხზე ზრუნვით არაქათგამოც-ლილი ჩვენი პოლიტიკოსები ამ მაგიურ გამოთ-ქმაში („განმეორდები“) გულისსმობენ ნათქ-ვამის გამეორებას და არა საკუთარი პერსო-ნის მიხედვით ცხოვრებაში მეორედ (განმეორე-ბით) მოსვლას.


გავერობებულ პოლიტიკოსებსა და ჟურ-ნალისტებს (განსაკუთრებით - სპორტულ ჟურნალისტებს) შორის არანაკლებ პოპულარ-რული არანაკლებ ბრიყვული სიტყვათმთავანხმება **სა-ბოლოო ჯამში** (რუს. В КОНЕЧНОМ ИТОГЕ). რუსულ ენა-ში „კანეჩნი იტოგ“ არის ფაქტების, მოვლენების, განმე-ყენებული ან გამოუყენებელი შესაძლებლობების ერ-თობლიობა, საბოლოო შედეგი და არა მხოლოდ შე-საქრება ერთობლიობა. არადა, გამოსავალი რა უბ-რალოა - „საბოლოო ჯამის“ ნაცვლად გამოიყენებდეს სიტყვას „საბოლოოდ“, ან „შედეგად“ და ყველაფერი თა-ვის ადგილას აღმოჩნდებოდა! მაგრამ ალბათ, ეს უფ-რო ოცნების სფეროა - პოლიტიკოსები და პოლიტი-კოსთან დაახლოების მოწადინენი ამ გამოთქმას ვერ შე-ელებიან, რადგან მათთვის „საბოლოო ჯამი“ არის ბი-უჯეტი, სასუსნავებით სავსე დიდი უბატრონო გობი, სა-დაც ხელის ფათური აუხდენელი ოცნება სულაც არ გახ-ლავთ.

თანამედროვეობის კიდევ ერთი ძალიან პოპულარუ-ლი სისულელე გახლავთ გამოთქმა „**ეს (ამბავი, ფაქტი, შემთხვევა...) ბევრ კითხვის ნიშანს აჩენს**“. ღმერთმა ინე-ბოს, ვცდებოდე, მაგრამ მეჩვენება, რომ ამ ბრიყვულ გა-მოთქმაზე შეყვარებული ჩალფაჩუნა პოლიტიკოსები და ჟურნალისტები ვერ ხედავენ განსხვავებას კითხვის ნი-შანსა და კითხვით წინადადებას შორის. ამიტომ კიდევ ერთხელ (და უკანასკნელად) გამოვიჩენ კეთილშობი-ლებას: კითხვის ნიშანი გრამატიკულად არის პუნქტუ-აციის შემადგენელი ნაწილი, გრაფიკულად გამოისა-ხება ასე „?“ და დაისმის კითხვითი წინადადების ბო-ლოს. თავად კითხვითი წინადადება კი არის, აი, ეს - **თქვენა, ჩვენი შუბლმაგარი, აბდალი, აფრაკო და აკა-რაკო პოლიტიკოსებო და ჟურნალისტებო, სკოლაში არ გივლიათ?**

სხვათა შორის, ჩვენს ყოფაში ბევრი ისეთი რამ ხდებ-ბა, რაც არამართო კითხვებს (და არა კითხვის ნიშნებს!) აჩენს, არამედ გვაღელვებს და გვაშფოთებს კიდევ. რას გვიბრძანებთ, ასეთ შემთხვევაში **„ეს (ამბავი ფაქტი, მოვ-ლენა...) ბევრ ძახილის ნიშანს აჩენსო“**, უნდა ვთქვათ? ჯერჯერობით ზუსტად ვერ დავადგინე, რომელი მე-გობარი ევროპული ქვეყნის ენიდან დაიძრა, მაგრამ ფაქ-ტია, რომ ბოლო წლებში ქართულ ენას შავი ჭირის ეპი-დემიასავით მოედო ერთ დროს საკმაოდ უფერული და უწყინარი ზმნები „**მოხდა“**, „**განხორციელდა“**, „**განიც-დის“**, „**ანარმობს**“...

არ ვაჭარბებ - ყოველდღე, თითქმის ყველა ქართული სატელევიზიო არხიდან და რადიოსადგურიდან გაუთა-ვებლად გვესმის: „**განარმობთ რესტავრაციას და რე-**

მონტს“; „**განიცადა ტყვილი**“; „**თბილისში წვიმა განხორ-ციელდა**“; „**პასი განხორციელა**“; „**მოვახდინეთ ნაშრო-მების გასწორება**“; „**გახდენთ ფრინველებზე დაკვირვე-ბას**“; „**ხდება ინფორმაციის გავრცელება**“; „**ჩვენმა სამსა-ხურმა მოახდინა სახელმწიფო რესტრამი არსებული სა-ჯარო ინფორმაციის ამოღება და შესწავლის დაწყება**“... არა, ნამდვილად არ მესუმრება - ერთ-ერთი პოპუ-



ლარული ქართული ტელევიზიის ნამყვანი (რასაკვირ-ველია, უცხოეთში ნასწავლი და ევროპული ენების მცოდნე) ასეთ რამეს ბრძანებს: „**ერთმა კოლონამ განი-ცადა ჯდენა**“. ეს ისეთი შემთხვევაა, როცა ჟურნალისტის შესაფასებლად ჯაჰილის ყველა ქართული შესატყვისი უძღურია, ხოლო მისი გამზრდელისთვის ცოცხლად კო-ცონზე დაწვა - მეტისმეტად ჰუმანური სასჯელი.

წესით, „რუსთავი 2“-ის ამ ჟურნალისტის მასწავლე-ბელსაც მშვიდად არ უნდა ეძინოს - „**ნარკოტიკული სა-შუალების, რომელიც მას ფესვსაძემეში უპოვეს, ფლობა და გადაზიდვა მას არ ეკუთვნის**“.

ვიცი, მოსამართლის თანამდებობიდან გადაყენება ორგანიზაციულად ძალიან რთული და პოლიტიკურად ძალიან სახიფათო საქმეა, მაგრამ ისიც ხომ საკითხა-ვია, ეკუთვნის თუ არა მოსამართლის მანტია ამის მითქმდე კაცს: „**განსასჯელბმა ჩაიდინეს წინააღმდეგო-ბის განევა**“.

ამ ფონზე, რა თქმა უნდა, ივენანასავით ჩაგვესმის ჟურნალისტის კომენტარი - „**მიხილ სააკაშვილმა ყველა ზღვარს გაცდა**“; აი, ეს სარეკლამო განცხადებები კი შეიძლება, მერცხლების ჭიკჭიკადაც კი მოგეჩვენოთ: „**რძის ნაკეთობათა სამაქრო**“; „**მიედინება ცხოვრება ნა-კადულით ჩქარა**“; „**არავინ იცის, სინაზის ნაკლებო-ბა როდის დაგვაცდებია თავს**“...

მოდის, „**რძის ნაკეთობებს**“ თავი დავანებოთ - ჯერ ერთი, ძალიან ჰგავს ელემენტარული უყურადღებობის ნაყოფს და მეორეც, ეს სარეკლამო ბანერი სოლოლაკში



დაფინანსების შესანარჩუნებლად სტუდენტებს მალაჩი აკადემიური მოსწრების ჩვენება მოუწევთ. განათლების სამინისტრო ახალ სტემაზე მუშაობს, რომელიც ნელს იქნება წარმოდგენილი. განათლების მინისტრის განმარტებით, შე-საძლოა, ცვლილება ძალაში მომავალი წლიდან შევიდეს. „ჩვენ ვმუშაობთ დაფინანსე-ბის ახალ სტემაზე. სწორედ ჩემი

და დავუბრუნდეთ. ნახეთ, რას წერს ერთი ჩემი პატივ-ცემული კოლეგა: „**როდესაც აღმოსავლეთ ლიგურული პოლიციელები მივიდნენ მორგე გამოძახებაზე ოპიარის შტატის ერთ-ერთ პატარა ქალაქში (აშშ), ისინი შოკში ჩავარდნენ. მათ ნახეს ქალისა და მამაკაცის სხეულები უცნაურ პოზაში ავტომობილის წინა საფარძლებზე. ქალ-ბატონი და მამაკაცი აფსოლიტურად პარალიზებული იყვნენ. უკანა საფარძლები იჯდა 4 წლის ბავშვი. რო-გორც ჩანს, ბავშვის მშობლები უბრალოდ გაითიშნენ ნარკოტიკული საშუალების ზედმეტი დოზირებისგან. როგორც იწყება ოფიციალურად კვინ ტომბსონი, მამა-მაგვიანებით მოვიდა გონს და გარკვეული დროის გან-მავლობაში ცდილობდა ეთქვა რაღაც, რასაც აფსოლი-ტურად არ ჰქონდა არანაირი საერთო მომხდართან. რის შემდეგაც ის ისევ გაითიშა. მისი ცოლი გონს მოვიდა და ჰოსპიტალიზებულ იქნა. პოლიციელებმა გა-მოაქვეყნეს ეს ფოტოები ინტერნეტში, რომ ეჩ-მებინათ, თუ რისი გაკვეთბა შეუძლია ნარკო-ტიკებს ჩვეულებრივი ადამიანებისთვის (სპეცი-ალურად საიტისთვის) დავეთ მანია“.**

როგორც მისხდით, ეს არის ღრმა ჯაჰილის თარგმანი ინგლისურიდან - ეტყობა, ავტორ-მა არც ინგლისური იცის, არც ქართული, არც რაიმე ელემენტარული განათლება აქვს, არც რედაქტორი ჰყავს და არც ვინმე წრფელი გულ-შემატკივარი - ჟურნალისტობა-მთარგმნელო-ბის თავის დანებება რომ ურჩიოს.

აი, ეს კი საკმაოდ პოპულარული ტელეჟურ-ნალისტის შემოქმედებაა: „**რუსთაველის გამზირ-ზე დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად არის სახალხო სეირნობა, წარმოდგენილია სხვადას-ხვა სამინისტროები, ხილის რუკა, ტექნოპარკი. მეც სიამოვნებით შევეურთვედი ამ ხალხს. ისეთი იდეებია, საერთოდ, ვერ მისხდები, რომ საქარ-თველოში იყოფები**“ (ნანიკო ხაზარბაძის ჩართვა

რუსთაველის პროსპექტიდან 2017 წლის 26 მაისს).

ფვიქრობ, ამ სერიოზული აბდაუბის კომენტარი ზედმეტია. მხოლოდ ერთ რამეს ვიტყვი - რედაქტორები უფრო კარგად უნდა იცნობდნენ თავიანთი ჟურნალის-ტების გონებრივ შესაძლებლობებს. იმასაც ანგარიში უნდა გაუნიონ, რომ ტელეგადაცემები მსმენელ-მაყუ-რებელთა ფართო აუდიტორიისთვის მზადდება და მათ, სავსებით შესაძლებელია, ასეთი ჟურნალისტური მი-ეთმოეთი არ გაპატიონ. მხოლოდ რეიტინგებს არ ვგუ-ლისხმობ.

რა ენა წახდეს, ერთი დავიცვოს, ჯერ კიდევ საუკუ-ნე-ნახევრის წინათ ბრძანებად ქართველი ერისა და ქარ-თული ენის დიდი მოამბე გრიგოლ ორბელიანი. მისი ეს ბრძნული შეგონება რომ დავვიწყებოდა და მეტი არა-ფერი, ვინმე მადლიანი უეჭველად შეგახსენებდა და ჩვენც მშვიდად გავაგრძელებდით ისტორიის ეკლიან გზას. არა, კი არ დავავიწყდა, ვირული უმეცრებით ვუე-ლით გვერდს და ვიუტად ვცდილობთ იმის პირწმინდად დავიწყებას, რამაც დღემდე ქართველებად მოგიყვანა - მშობლიური ენისა.

ჩვენ ჯაჰილის - უმეცრებისა და სიბნელის მღვრიე მორევში ვიხრჩო-ბით. თან თავს ვიტყუებთ, ევროპისკენ მივქვეყნებით!



თაიფურაზ ძორიძე,
31.05.2017 წელი

დაფინანსების ახალი სტემა უმაღლეს სასწავლებლებში

დაფინანსების შესანარჩუნებლად სტუდენტებს მალაჩი აკადემიური მოსწრების ჩვენება მოუწევთ. განათლების სამინისტრო ახალ სტემაზე მუშაობს, რომელიც ნელს იქნება წარმოდგენილი. განათლების მინისტრის განმარტებით, შე-საძლოა, ცვლილება ძალაში მომავალი წლიდან შევიდეს. „ჩვენ ვმუშაობთ დაფინანსე-ბის ახალ სტემაზე. სწორედ ჩემი

ერთ-ერთი ინიციატივა უკავშირდება დაფინანსების გაგრძელების დაკავში-რებას აკადემიურ მოსწრებასთან, ამის საჭიროება გამოჩნდა. ჩვენ მალაჩი ხა-რისხის საბოლოო შედეგი გვეჩვენება, ანუ მხოლოდ წარმატებულად ჩაბარე-ბა საკმარისი არ არის და ადამიანმა უნ-და გააგრძელოს მალაჩი აკადემიური შედეგების ჩვენება. წელს წარმოვად-გენთ სტემას და ვფიქრობ, რომ მომავალი წლიდან შევა ძალაში“, - განაცხადა ალექსანდრე ჯეჯელავამ.

მუდმივად ახლის ძიებაში

ელგუჯა ხინთიბიძე – 80



ცნობილ მეცნიერს, ლიტერატურათმცოდნეს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს ელგუჯა ხინთიბიძეს საიუბილეო თარიღი უსრულდება. დაიბადა 1937 წლის 7 ივნისს ოზურგეთში, იქვე დაამთავრა სკოლა ოქროს მედალზე და სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომლის დამთავრებისთანავე ჩაირიცხა ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის ასპირანტად. მისი სამეცნიერო ხელმძღვანელები იყვნენ აკადემიკოსები კორნელი კეკელიძე და ალექსანდრე ბარამიძე.

ელგუჯა ხინთიბიძემ 1963 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ბასილი კაპადოკიელის „სამოღვაწეო წიგნის“ ქართული რედაქციები“, 1971 წელს კი სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „მსოფლმხედველობითი პრობლემები „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრულ სისტემაში“, რომელიც საფუძვლად დაედო 1975 წელს გამოქვეყნებულ მონოგრაფიას „მსოფლმხედველობითი პრობლემები „ვეფხისტყაოსანში“.

ელგუჯა ხინთიბიძეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სხვადასხვა დროს ეკავა ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანის (1976-1986), ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის გამგის თანამდებობები (2000-2006), იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი სამეცნიერო დარგში (1986-1993), 1976-2004 წლებში რედაქტორობდა სამეცნიერო ჟურნალ „ლიტერატურათმცოდნეობას“. წლების განმავლობაში იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლიტერატურათმცოდნეობის ხარისხების მიმნიჭებელი სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე. მან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საფუძველი ჩაუყარა ქართველოლოგიური სიმპოზიუმების ჩატარებას. მისი ორგანიზატორობით ჩატარებული სიმპოზიუმების მასალები გამოქვეყნებულია ქართულ და ინგლისურ ენებზე. ქართველოლოგიის სამსახურისათვის დაჯილდოვდა ღირსების საერთაშორისო ორდენით (ბიოგრაფიების საერთაშორისო ცენტრი, კემბრიჯი, 1994).

ამჟამად აკად. ელგუჯა ხინთიბიძე არის თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ლიტერატურის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ხელმძღვანელი, შუა საუკუნეების ფილოსოფიური კვლევების საერთაშორისო საზოგადოების წამდელი წევრი, ამერიკის ბიოგრაფიის ინსტიტუტის მრჩეველთა საბჭოს საპატიო წევრი, ბიზანტინისტიკა და მედიევისტთა (SIEPM) საერთაშორისო კონგრესებისა და სიმპოზიუმების მონაწილე, ქართველოლოგიის მხარდამჭერთა საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტი, 1978 წლიდან საერთაშორისო ჟურნალ „გეორგიკის“ რედკოლეგიის წევრი, 1993 წლიდან საერთაშორისო ინგლისურ და ქართულენოვანი ყოველწლიური ჟურნალის „ქართველოლოგის“ და მთარგმნელი და რედაქტორი. 1992 წელს დააარსა ქართველოლოგიური სკოლის ცენტრი და ფონდი, ხოლო 1995 წელს საერთაშორისო ქართველოლოგიური საზაფხულო სკოლა-სემინარი. არის 200-ზე მეტი სამეცნიერო გამოკვლევისა და 20-ზე მეტი მონოგრაფიის ავტორი. დაჯილდოებულია საქართველოს ღირსების ორდენით (თბილისი, 2003); არის ივანე ჯავახიშვი-

ლის სამეცნიერო პრემიის ლაურეატი (1984). წაკითხული აქვს ლექციები საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში, კერძოდ: ესპანეთში, იტალიასა და დიდ ბრიტანეთში.

აკად. ელგუჯა ხინთიბიძემ დიდი წვლილი შეიტანა ახალგაზრდა მეცნიერთა მომზადების საქმეში. მისი ხელმძღვანელობით 20-ზე მეტმა ახალგაზრდამ დაიცვა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები; მათგან ზოგიერთი ამჟამად ევროპის სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრსა და უნივერსიტეტში წარმატებით აგრძელებს ქართველოლოგიურ სამეცნიერო საქმიანობას.

ელგუჯა ხინთიბიძის მეცნიერული ინტერესების სფერო, ძირითადად, არის რუსთველოლოგია, ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობები, ქართულ-ევროპული ლიტერატურული ურთიერთობები, ქართული ლიტერატურის პრობლემები.

ე. ხინთიბიძემ თავის რუსთველოლოგიურ კვლევებსა და მიღწევებს თავი მოუყარა ფუნდამენტურ მონოგრაფიაში „ვეფხისტყაოსნის იდეურ-მსოფლმხედველობრივი სამყარო“, რომელიც 2009 წელს გამოქვეყნდა. მონოგრაფია ახლებურად წარმოადგენს რუსთველოლოგიური პრობლემების ძირითად სფეროებს, კერძოდ, ასტროლოგიურ, ეთიკურ საკითხებს, წარმოაჩენს „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგისა და დასასრულის პრობლემას, თეოლოგიურ-ფილოსოფიურ წყაროებს – ბიბლიას, ქრისტიანულ პატრისტიკას, არეოპაგატიკას, ანტიკურ ფილოსოფიას.

უაღრესად მნიშვნელოვანია ე. ხინთიბიძის ბოლოდროინდელი აღმოჩენა, რომლის მიხედვით „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტი გამოყენებულია XVII საუკუნის დასაწყისის ინგლისის დრამატურგთა – უილიამ შექსპირის, ფრენსის ბომონტისა და ჯონ ფლეტჩერის მიერ. მისი მტკიცებით, „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის გადაღებულია XVII საუკუნეში პოპულარული პიესები: შექსპირის „ციმბელინი“, ბომონტისა და ფლეტჩერის „ფილასტერი“ და „მეფე და არა მეფე“. მკვლევარმა გამოავლინა, რომ შოთა რუსთაველის აზროვნება არა მხოლოდ თვისებრივ პარალელს პოულობს ევროპულ საზოგადოებრივ ლიტერატურულ აზრის განვითარებასთან, კონკრეტულად – ტრუბადურების, დანტეს, პეტრარკას მემკვიდრეობასთან, არამედ „ვეფხისტყაოსნის“ კვალი უშუალოდ შეინიშნება ევროპული ლიტერატურის მხატვრულ ნაწარმოებებში. მკვლევარმა ის სავარაუდო გზაც გამოავლინა, რომლითაც რუსთაველის დიდი შემოქმედება უნდა შეღწეულიყო შექსპირის ეპოქის ინგლისის მაღალი ინტელექტუალთა წრეებში.

ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობების მიმართულებით კვლევაში განსაკუთრებით საყურადღებოა ელგუჯა ხინთიბიძის მიერ წინამორბედ მეცნიერთა შეხედულებების გათვალისწინებითა და ახალი საბუთების საფუძველზე მნიშვნელოვანი მეცნიერული თეორიის ჩამოყალიბება კაბადოკიელი წმინდა მამების, ძმების წმ. ბასილი დიდისა და წმ. გრიგოლ ნოსელის ქართველური წარმომავლობის შესახებ, წმ. ბასილი კაპადოკიელის ცხოვრებისა და შემოქმედების ქართულ სამყაროსთან კავშირისა და სხვა პრობლემების თაობაზე. ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობების კვლევას მიეძღვნა ე. ხინთიბიძის შრომების ციკლი, სტატიები და მონოგრაფიები, რომლებიც დაიბეჭდა

მაღალი რეიტინგის მქონე უცხოურ ჟურნალებში.

მნიშვნელოვანია აკად. ე. ხინთიბიძის სამეცნიერო კვლევები ქართულ-ევროპული ლიტერატურული ურთიერთობების მიმართულებით. ამ მიზნით იმყოფებოდა იგი სამეცნიერო მივლინებებით დიდი ბრიტანეთის, ესპანეთის, ირანის სიძველეთსაცავებში ქართველოლოგიური მეცნიერებების წყაროების მოსაძიებლად.

ელგუჯა ხინთიბიძის კვლევის ერთ-ერთი მიმართულებაა ევროპაში ქართული ლიტერატურის შესწავლა, რომელსაც მიეძღვნა 2001 წელს ინგლისურ ენაზე და 2002 წელს ქართულ ენაზე გამოცემული მონოგრაფია „ქართული ლიტერატურა ევროპულ მეცნიერებაში“. მასში გამოქვეყნებულია მისი ხელმძღვანელობით შექმნილი ქართული ლიტერატურაზე ევროპულ მეცნიერთა გამოკვლევებისა და ევროპულ ენებზე ქართული ლიტერატურის ნიმუშების თარგმანების ამსახველი რვა ბიბლიოგრაფია. ფაქტობრივად, იგი უნიკალური სახელმძღვანელოა ქართული ლიტერატურული სამყაროთი დაინტერესებული უცხოელი და ქართველი მკვლევარისათვის.

ელგუჯა ხინთიბიძე დაინტერესებულია ქართული ლიტერატურის იმ პრობლემების კვლევითაც, რომლებიც მისი უშუალოდ სამეცნიერო სფერო არაა, რის ნიმუშადაც უნდა დავიმოწმოთ გალაკტიონ ტაბიძის დამოკიდებულების განსაზღვრა შოთა რუსთაველისა და მისი პოემისადმი. ესაა მისი სტატია „რუსთაველი მახსოვს ბავშვი“.

ელგუჯა ხინთიბიძეს უდიდესი წვლილი მიუძღვის ქართული ლიტერატურის ისტორიისა და, საზოგადოდ, ქართველოლოგიის განვითარებაში. მის სახლს კარგად იცნობენ როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთის სამეცნიერო წრეებში. იგი მუდმივად ახლის ძიებაშია, ამჟამადაც აგრძელებს მეცნიერულ კვლევასა და პედაგოგიურ მუშაობას. ბატონ ელგუჯა ხინთიბიძეს ვულოცავთ საიუბილეო თარიღს და ვუსურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს, სულიერ და ფიზიკურ ჯანმრთელობას, სიმწვევს, გამძლეობას, საყვარელი საქმისადმი ძველებურ დამოკიდებულებას და კიდევ უამრავი სამეცნიერო ნაშრომის შექმნას ქართული ლიტერატურის, ქართული კულტურის წინსვლისა და აღმავლობისათვის.

**საქართველოს მეცნიერებათა
ეროვნული აკადემია;**

**ენის, ლიტერატურისა და
ხელოვნების განყოფილება**

ატაშეები მინისტრს ანგარიშს აბარებენ



შინაზან საქმეთა მინისტრი გიორგი მღებრიშვილი საქართველოს შსს-ს მიერ სხვადასხვა ქვეყანაში წარგზავნილ პოლიციის 12 ატაშეს შეხვდა და საგანგებო თათბირი გამართა.

ატაშეებმა მინისტრის განუვლილი საქმიანობის შესახებ დეტალური ანგარიში ჩააბარეს და დავალებები მიიღეს. შეხვედრაზე შს მინისტრმა ხაზი გაუსვა ეფექტური საერთაშორისო საპოლიციო თანამშრომლობის განხორციელებისთვის პოლიციის ატაშეების ინსტიტუტის მნიშვნელობას. როგორც გიორგი მღებრიშვილმა აღნიშნა, ვიზალიბერალიზაციის შემდგომ, ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში წარგზავნილი ატაშეების როლი კიდევ უფრო გაიზარდა. შს მინისტრმა მიმდინარე წლის აპრილის თვეში ევროპოლთან გაფორმებული ოპერატიული თანამშრომლობის შეთანხმების მნიშვნელობაზეც ისაუბრა.

„ძალიან მაღე ჩვენი პარლამენტი მოახდენს შეთანხმების რატიფიცირებას და თქვენს რიგებს შეემატება მეკავშირე ოფიცერი ევროპოლში, რომელსაც სულ რამდენიმე თვეში წარგზავნით. ჩვენ გვექნება შესაძლებლობა, ვითანამშრომლოთ ევროპოლთან და ევროპოლის მეშვეობით ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების სამართალდამცავ ორგანოებთან, როგორც ოპერატიული, ასევე, არაოპერატიული მიმართულებით, უსაფრთხო არხის მეშვეობით გაცვავოთ მნიშვნელოვანი საპოლიციო და ოპერატიული ინფორმაცია, მონაწილეობა მივიღოთ ევროპოლის ფარგლებში ორგანიზებულ ერთობლივ საგამოძიებო ჯგუფებში“, – განაცხადა გიორგი მღებრიშვილმა.

შეხვედრის დასასრულს გიორგი მღებრიშვილმა თითოეულ ატაშეს განუვლილი საქმიანობისათვის მადლობა გადაუხადა და წარმატებები უსურვა.

1942 წლის ზაფხული. ოთხი დღის შემდეგ გერმანელები შევიდნენ სტალინგრადში და საშინელი დაბომბვებით მას მიწასთან გაასწორებენ. ინგლისური ტაქტიკა ძველებურად შეესაბამება ბრიტანეთის დიპლომატიის „საუკეთესო“ ტრადიციებს და მთლიანად აგრძელებს ლონდონის ომისწინა ხაზს, შეაჯახონ ერთმანეთს რუსეთი და გერმანია, მაქსიმალურად დაასუსტონ ისინი ურთიერთბრძოლაში. და, მაშასადამე, საჭიროა ყველანაირად გააჭიანურონ ომი, ილაპარაკონ დახმარებაზე, მაგრამ რეალურად არ განახორციელონ იგი. მას შემდეგ, რაც გერმანული არმია „შერიკა“ 1941-1942 წლის ზამთარში, საგაზაფხულო კამპანია გერმანელებისთვის დაიწყო ხელსაყრელად. მოაქციეს რა ალყაში საბჭოთა ჯარები ხარკოვთან, ისინი ელვისებურად დაიძრნენ ჩვენი ტერიტორიის სიღრმისკენ და გავიდნენ სტალინგრადთან. მეორე მხრივ ვერმანტი დაიძრა კავკასიისკენ, რომლის იქითაც იყვნენ ერაყი, ირანი და შემდეგ ინდოეთი. ბრიტანეთის პოლიტიკის ამოცანა ხდება პიტლერის „გადაყვანა“. კავკასიის გარღვევიდან ახლო აღმოსავლეთის სანაგთობო რაიონებისკენ, სტალინგრადის მიმართულეობით. ბრიტანული პოლიტიკის სირთულე არის ის, რომ ერთდროულად ითამაშოს ორივე დაფაზე: დაჰპირდეს სტალინს დახმარებას, პიტლერს კი – მშვიდობას (მისი წარმატების შემთხვევაში რუსეთში). გერმანელებმა და რუსებმა უნდა იომონ, თავგზა აუზნიონ ერთმანეთს. ამ დროს სტალინს დახმარება არ უნდა მიეღო, რაც გერმანელებს უჩვენებს დასავლეთის მოკავშირეებსა და ბერლინის შორის მომავალი ბრიტანული სამშვიდობო წინადადებების რეალობას სსრ კავშირის სამხედრო დამარცხების შემთხვევაში. სტალინგრადისთვის დაძაბული შეტაკების მომენტში მოსკოვში ვიზიტით ჩადის სერ უინსტონ ჩერჩილი.

12 აგვისტოს ჩერჩილი პირველად ჩავიდა მოსკოვში პრემიერ-მინისტრის რანგში. მისი ვიზიტის მიზანი იყო, ეცნობებინა, რომ მოკავშირეებს საბოლოო ანგარიშში არ აქვთ განზრახული ჩრდილო-დასავლეთ ევროპაში შემოჭრა 1942 წელს, როგორც ისინი ამას პირდაპირად ადრე. ჩერჩილი მართლაც მიფრინავდა მოსკოვში და შესანიშნავად ესმოდა, რომ სტალინი მოსტოვს მეორე ფრონტის გახსნას და საფრანგეთში დაუყოვნებლივ გადასხმას 1942 წლის ზაფხულში, რათა დაასუსტოს გერმანელების შეტევა სტალინგრადზე. ბრიტანეთის პრემიერს სჭირდებოდა არაგუმენტი, რათა გააჭიანუროს დრო და დაჰპირდეს დესანტს მოგვიანებით. საჭირო იყო ფაქტები, რათა თვალნათლივ განუმარტოს ახლა გადასხმის შეუძლებლობა. ბრიტანეთის პრემიერთან პირველსავე საუბარში სტალინმა შეახსენა ინგლისელების დაპირება – განახორციელონ შეტევა საფრანგეთზე და გახსნან მეორე ფრონტი 1942 წელს. ამიტომ ერთი კვირის შემდეგ შედგება კიდევ „რეიდ დიკონე“, რომლის „შეტევა“ ამავდროულად იქნება დაპირების შესრულებაც და ევროპაში მოკავშირეთა სერიოზული სადესანტო მოქმედებების „შეუძლებლობის“ თვალსაჩინო ილუსტრაცია. ასობით კანადელების ცხედრები, რომლებიც „დაცურადნენ“ სანაპირო წყლებში, გახდება ჩერჩილის თავისებური ალიბი. ჩვენ არაფრით შეგვიძლია, რომ დაგეგმაროთ. ხედავთ – ჩვენი დესანტები სისხლში იხრობიან. და ასეთი არასასიამოვნო სიმართლე ნებისმიერი ისტორიული „გამოცანის მიღება“... მოლაპარაკებები რთული იყო. თუმცა ყველა დიპლომატიური კანონების დაცვით – ესე იგი მაგიდასთან. ინციდენტებიც ვერ აიცილეს. ერთ-ერთი მათგანი თარჯიმანმა ბერეჟკოვმა აღწერა:

„სწორედ მაშინ, როდესაც პლომბირისა და ყავის ვითარებაში სტალინსა, ჩერჩილსა და ჰარიმანს შორის მიმდინარეობდა გაცხოვრებული საუბარი, უცნაურად მათი მაგიდას მახლობლად გაისმა გრუსული. ყველა ყურადღება დამსხვრეული ჭურჭლის მკვეთრმა ხმაურმა, ალგზნებულმა წამოძახილებმა მიიპყრო. როდესაც შემოვტრიალდით, დავინახეთ იატაკზე გათხრებული ადამიანი. მახლობლად იჯდა ფაიზალი, ბოთლისა და მინის ნაშხვრეები. თითქოს რაღაც უბედურება მოხდა. დაცემულის ირგვლივ უკვე იკრიბებოდნენ სხვა სტუმრები, ფარავდნენ მას ჩვენგან. როდესაც მოხდარის ადგილზე მივიდნენ სტალინი, ჩერჩილი და ჰარიმანი თარჯიმანების თანხლებით, ყველაზე უკან დახსნია, და დავინახეთ, რომ იატაკზე დავარდნილი ადამიანი დასისხლიანებული სახით და უაზროდ მოხამხამე თვალებით იყო ბრიტანელი პრემიერის პირადი მცველი და მსახურთუფროსი კომანდორი ტომპსონი, ანუ ტომი, როგორც მას მოეხერხებოდა ეძახდა მისი დიდად მოსიყვარულე ჩერჩილი. მის გვერდით იდგა სიმალდი გამოჩინებული მისი უდიდებულესობის ელჩი არჩიბალდ კლარკ კერი საპარადო, ოქროთი მოქარგული სერთუკით მუაროვის ორდენის ლენტით მხარზე და ლაბადით, ძვირფასი ქვებით რომ იყო მოკაზმული. მაგრამ რა გამომეტყველება ჰქონდა მას! სერთუკსა და მუარის ბაბთაზე ჩამონული იყო ვარდისფერი პლომბირი, პალაში დათხვრილი იყო ყავის წვეთებით, თავად კერი კი გაჭირვებით ცდილობდა დაეძლია დაბნეულობა, ეშაბდებოდა ენასუხა ჩერჩილის გაოგნებული და საგანგებო სიგნალისათვის.

გაგრძელება. დასაწყისი № 69-82; 86-106, 108

ნიკოლაი სტალინი
ცილდაწამებული
გენერალისიმუსი
ვისხანაბთ ერთად



– გამაგებინეთ, რა ხდება აქ? – იკითხა ბრიტანულმა პრემიერმა.
ელჩი კერი, როგორც იქნა, დაეფულა თავის თავს და დაბნეულად წარმოთქვა:
– თქვენ ხომ იცით, თქვენო უდიდებულესოვებ, ტომის შეუფერი დალიოს ძალიან ბევრი ღვინო და არასოდეს თვრება...
– ამიტომ ვაფასებ მე მას, – წარმოთქვა ჩერჩილი და გაიღიმა, უკვე მიხვდა, რომ არაფერი საშინელება არ მომხდარა.
– მაგრამ ამჯერად მან ზედმეტად შეაფასა თავისი შესაძლებლობანი, შეეჯობრა რუს კოლეგებს, – განაგრძობდა კელი. – მას მოეჩვენა, რომ, თქვენო უდიდებულესოვებ, გჭირდებათ მისი დახმარება. მკვეთრად წამოხტა, მაგრამ



სტალინი და ჩერჩილი, 1942 წელი

ვერ შეინარჩუნა წონასწორობა, წამოავლო ხელი სუფრას... და აი ხედავთ...“
ხედავოდა სტალინი, რომ ინგლისელები მას, უბრალოდ, აბითურებდნენ? რასაკვირველია. „დეიპე რეიდის“ წინა დღით ისინი ხომ გულგრილად და მშვიდად ძირავდნენ თავის საკუთარ ბადრეებს, რომელსაც მოჰქონდა იარაღი ამერიკის შეერთებული შტატებიდან და ბრიტანეთიდან, მოჰქონდა სწორედ სტალინგრადისკენ. (ქარავნის დაღუპვის წვრილმანები შესანიშნავად აღწერა ვალენტინ პიკულმა. ორი სიტყვით ეს ყოველივე ასეა: ბადრეის ხომალდებზე ტანკების რაოდენობა რამდენიმე ასეულია. იყო აგრეთვე თვითმფრინავები, ავტომატანები, საბრძოლო მასალები, ამუნიცია, სურსათი. და 1942 წლის ივლისის დასაწყისში ყველაფერი ფსკერისკენ წავიდა. რატომ? დაცვის ხომალდებმა – დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების საბრძოლო ხომალდებმა – მიიღეს ბრძანება... მიატოვეთ. ბადრაგი და წავიდნენ. თითქოს, იქვე იყო გერმანელთა ტანკერი „ტიროპიცი“. მაგრამ ეს მხოლოდ იყო საბაბი, რათა დაეტოვებინათ დაუცველი ტრანსპორტიორები გერმანელების მიერ გასანადგურებლად. რამდენიმე ხნის შემდეგ ინგლისის სამხედრო მებრძოლები დაბრუნდნენ – მაგრამ ყველაფერი გაკეთებული იყო. შედეგად 34 სატრანსპორტო ხომალდიდან დაიღუპა 24. როდესაც ამ „სიურპრიზის“ შესახებ გაიგო, სტალინმა იკითხა: „იცანი კი ბრიტანელმა მებრძოლებმა, რა არის ღირსება?“ ინგლისის საადმირალოს ბრძანება – მიატოვეთ ბადრაგი – კიდევ ერთი „ისტორიული გამოცა-

ნაა“, რომლის ამოცნობაც ადვილია. დახმარება მიღის – სტალინის წინაშე ინგლისელები „სუფთანი“ არიან. ინგლისელები „სუფთანი“ არიან ბერლინის წინაშეც. და, დიდი დანაკარგების საბაბით ლონდონმა საერთოდ შეწყვიტა ბადრაგების გატარება, ბრძოლების გადამწყვეტ მომენტში სტალინგრადთან სსრ კავშირი დახმარების გარეშე დატოვა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, სტალინი მაინც ცდილობდა, მოლაპარაკებოდა ბრიტანეთის პრემიერს. მოლაპარაკებათა შედეგი გახდა ბადრაგების განახლება ბრიტანეთიდან – შემდეგი ქარავანი ჩვენი ნაპირებისაკენ სექტემბრის დასაწყისში წამოვიდა. მეორე ფრონტის, გადმოსხმას ევროპაში დაგვიპირდნენ, მაგრამ ეს არც 1942, არც 1943 არ განახორციელეს ანგლოსაქსებმა.
რამდენადმე განტვირთა რთული მოლაპარაკების ვითარება სტალინის მიერ ჩერჩილის მოწვევამ სახლში. აი სერ უინსტონის მაშინდელი დიალოგის ერთ-ერთი სცენა, რომელიც ვ. ბერეჟკოვმა ჩაიწერა. სტალინი და ჩერჩილი სვამდნენ ყავას პატარა მაგიდასთან სტალინის სახლში და ერთმანეთს უზიარებდნენ აზრებს:
„დაიწყეს საუბარი, კერძოდ, ლედი ასტორის ჩამოსვლის შესახებ მოსკოვში ოცდაათიან წლებში. სტალინმა თქვა, რომ ლედი ასტორი გვარწმუნებდა, თითქოს ჩერჩილი წყარულეული ადამიანი, რომ ის არანაირ რილს არ შესაძლებელი პოლიტიკურ სცენაზე. მაგრამ სტალინი მაშინ სხვა აზრისა იყო. მან ლედი ასტორს უთხრა:
– თუ თქვენ მოხდებოდა, ჩერჩილი გახდებოდა პრემიერ-მინისტრი.
ჩერჩილმა მადლობა გადაუხადა სტალინს მისი, როგორც პოლიტიკური მოღვაწის, ასეთი შეფასებისთვის.
– ამ დროს, – უნიშნა ჩერჩილმა, – მე თავად უნდა ვაღიარო, რომ ყოველთვის როდი ვეპყრობოდი მეგობრულად საბჭოთა კავშირს, განსაკუთრებით პირველი მსოფლიო ომის დამთავრების უმალვე.
სტალინმა შემრიგებლურად თქვა:
– მე ეს ვიცი. რაშიც თქვენ არ შეიძლება გითხრათ კაცმა უარი – ესაა თანმიმდევრულობა თქვენი პოზიციისა საბჭოთა წყობილებისადმი.
– შეგიძლიათ, ეს ყოველივე მაპატიოთ? – შეეკითხა ჩერჩილი.
სტალინი ცოცხა ხანს დუმდა, შეხედა ჩერჩილს, მოჭუტა თვალები და მშვიდად უპასუხა:
– პატიება ჩემი საქმე არაა, დე, თქვენმა ლმერთმა გაპატიოთ. ბოლოს და ბოლოს კი, ჩვენ ისტორია განვსვჯის.“
უნდა აღინიშნოს ჩერჩილის სამართლიანობა, მან გამოიჩინა თავისი ხაზის გატარების სრულიად განსხვავებული სიმტკიცე, თანმიმდევრულობა და ხელსაყრელად... ხოლო როგორღა იყო ეს ხაზი, რასაც ასე მტკიცედ იცავდა ბრიტანეთის პრემიერი? ამის შესახებ მხატვრულად მეტყველებს სტალინის დეპუტის ტექსტი იმავე სსრ კავშირის ელჩის ინგლისში ივან მაისკისადმი 1942 წლის 19 ოქტომბერს:
„ჩვენ ყველა მოსკოვში გვექმნება შთაბეჭდილება, რომ ჩერჩილს კურსი აქვს ადრეული სსრ კავშირის დამარცხებაზე, რათა შემდეგ შეუთანხმდეს პიტლერის ან ბრონინგის გერმანიას ჩვენი ქვეყნის ხარჯზე. ასეთი ვარაუდის გარეშე ძნელია აიხსნას ჩერჩილის საქციელი ევროპაში მეორე ფრონტის საკითხთან, სსრ კავშირისთვის შეიარაღების მიწოდების საკითხთან დაკავშირებით, რაც პროგრესულად მცირდება.“
1942 წლის 28 ოქტომბერს სტალინი კვლავ წერს მაისკის:
„ჩერჩილმა მოსკოვში განგვიცხადა, რომ 43 წლის გაზაფხულის დასაწყისისთვის დაახლოებით ერთი მილიონი ინგლის-ამერიკელი ჯარისკაცი გახსნის ევროპაში მეორე ფრონტს. მაგრამ, ეტყობა, ჩერჩილი ეკუთვნის იმ მოღვაწეთა რიცხვს, რომლებიც ადვილად იძლევიან დაპირებას, რათა ასევე ადვილად დაივიწყოს, ანდა უზგმად დაპირდებიან იგი. ის ასევე საუბრობდა დაგვიპირდა მოსკოვში, დაბოლოებონ ბერლინი ინტენსიურად სექტემბრის განმავლობაში. მაგრამ მან არ შეასრულა თავისი დაპირება და არც უცდია, თუნდაც ეცნობებინა მოსკოვისთვის შეუსრულებლობის მოტივი. რას იზამ, ამერიიდან გვეცოდინება, თუ როგორ მოკავშირესთან გვაქვს საქმე.“
რუსეთს იმედი მხოლოდ თავისი თავისა უნდა ჰქონოდა. ეს კი ნიშნავს იმას, რომ სტალინსა და წითელ არმიას უნდა ესწავლათ ბრძოლა. სისხლით, შეცდომებით, დამარცხებებით. უნდა ვაღიაროთ არასასიამოვნო სიმართლე: 1941 წელს და 1942 წლის პირველ ნახევარში გერმანელთა ჯარების ოპერატიული ხელოვნება სჯობნიდა ჩვენს ოპერატიულ ხელოვნებას. მაგრამ ასე ყოველთვის როდი ყოფილა. სტალინის დიდ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ დიდი სამამულო ომის დროს მან შეძლო შეერჩია, ალეზარდა და პასუხსაგებ პოსტებზე დაენიჭაურებინა სამხედრო ნიჭის ბრწყინვალე პლეადა, რომელთა შორისაც იყვნენ ვასილევსკი, კონევი, გოვოროვი, უსუკოვი, ვატუტინი, ჩერჩიახოვსკი, ანტონოვი, სოკოლოვსკი, მერეცკოვი, როკოსოვსკი, მალიანოვსკი, ვორონოვი, ტოლბუგინი, იაკოვლევკი, მალინიჩი, გალიცკი, ტროფიმენკო, გორბატოვი, შტემენკო, კურასოვი, ვერშინინი, გოლოვანოვი, ფედორენკო, რიბალკო, ბოგდანოვი, კატუკოვი, ლელიუშენკო და ბევრი სხვა.

როსა მურდი თითს სხვისკენ იშვავს...

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის მრჩეველი ეროვნული უშიშროების საკითხებში მაიკლ ფლინი იძულებული იყო გადაეხდინათ იმ მიზეზით, რომ რუსეთის ელჩს სერგეი კისლიაკს რამდენჯერმე ესაუბრა ტელეფონით. თქვენ გგონიათ, რომ ეს შეუძლებელია? ცდებით, ბატონო! ვაშინგ-

ტონში ასეთი რამ სავსებით შესაძლებელია — „კუდიანებზე ნადირობის“ თანამედროვე ვარიანტი ხომ ჯერ კიდევ სენატორ მაკარტის დროიდან მოყოლებული (ეს კი 1950-იანი წლების დასაწყისიდან — ვ.ა.), ამერიკულ ნოუ-ჰაუდ ითვლება. მაგრამ, საინტერესოა, რა ხდება ამ მხრივ საქართველოში?


როგორც ჩანს, მსგავსი უსიამოვნება შეესაძლოა, მთავრობის პირველ ვიცე-პრემიერ დიმიტრი ქუმისიშვილსაც შეხვდეს, რომელიც ცოტა ხნის წინათ შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის სტამბოლში გამართული სამიტის ერთობლივ ფოტოზე აღბეჭდილია (ყოველად წარმოდგენილია!) თავისი სეხნის, რუსეთის პრემიერ-მინისტრის დიმიტრი მედვედევის გვერდით. ორივე მაღალი რანგის ჩინოსანი არა მარტო ერთმანეთის გვერდიგვერდ იდგნენ, არამედ (იქნებ, არც დაიჯეროთ!) ილიმებოდნენ კიდევ, თანაც გარშემო მყოფთ ერთდროულად ესალმებოდნენ მარჯვენა (ყურადღება მიაქციეთ, სწორედ მარჯვენა!) ხელით! თუმცა კი ისიც ცხადია, რომ ბატონ ქუმისიშვილს, რაღა თქმა უნდა, რუსეთის ჯინაზე, ხელს არაფერი უშლიდა იმაში, რომ დამსწრეთ არა მარჯვენა, არამედ მარცხენა ხელის აწევით მისალმებოდა.

ცხადია, რომ საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილისა და მის მომხრეთა რუორმა ტელეკომპანია „რუსთავი-2“-მა არ დააყოვნა და პირველმა „გაპყრა კბილი“ ბატონ ქუმისიშვილს ასეთი სერიოზული „იალიშისთვის“. მოკლე ტელევიზუი მესხის გაგარდნასავით იყო: „შეხვედით, ხალხო, რას სჩადის სტამბოლის ფორუმზე საქართველოს ვიცე-პრემიერი — ოკუპანტი ქვეყნის პრემიერთან სამახსოვრო ფოტოს იღებს!“

ბუნებრივია, ბატონმა ქუმისიშვილმა უმალ თავის მართლება დაიწყო, მისი თქმით, ფოტოსურათი, რომელმაც „საზოგადოების გარკვეული ნაწილის“ უკმაყოფილება გამოიწვია, არაფერს ნიშნავს — ეს, უბრალოდ, პროტოკოლით გათვალისწინებული ერთობლივი ფოტოა. „ორგანიზატორებმა თავად განსაზღვრეს, თუ ვინ სად უნდა დადგეს“, — ხაზგასმით აღნიშნა ვიცე-პრემიერმა.

რაც შეეხება თავად სტამბოლის სამიტში მონაწილეობას, ბატონი ქუმისიშვილის თქმით, საქართველოსთვის ძალზე მნიშვნელოვანია „ყველა შესაძლო პლატფორმისა და შესაძლებლობის გამოყენება“ და ამავდროულად, ქვეყნის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაფიქსირება. „სწორედ ეს იყო საერთაშორისო თანამშრომლობისთვის ჩვენი ძირითადი გზავნილი, რომელიც სტამბოლის სამიტზე გაუღებდა“, — აღნიშნა ბატონმა ქუმისიშვილმა და დასძინა, რომ რუსეთის პრემიერთან არანაირი შეხვედრა არ გაუშარდა.

აი, რა კომენტარი გააკეთა დიმიტრი ქუმისიშვილისა და დიმიტრი მედვედევის ერთობლივი ფოტოსურათის ირგვლივ ატეხილ აუიოტაუტან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტის ყოფილმა თავმჯდომარემ, გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის ხელმძღვანელმა ნინო ბურჯანაძემ: „ის, რაც ტელეარხმა „რუსთავი-2“-მა გადმოსცა, ყოველგვარ საზღვრებს სცილდება. სამარცხვინოა, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, სამარცხვინოა ისტერიკა, რომელიც იმის გამო ატყდა, რომ სტამბოლში ყოფნისას დიმიტრი ქუმისიშვილი ცოტა ხნის განმავლობაში თურმე დიმიტრი მედვედევის გვერდით მდგარა. ნუთუ „რუსთავი-2“-ში ელემენტარული წარმოდგენა არა აქვთ დიპლომატიური პროტოკოლის ელემენტარულ წესებზე? თუმცა კი, ვეთანხმები: ეს მართლაც უბედურებაა. უბედურება ისაა, რომ ჩვენი ვიცე-პრემიერი ჩუმი იდგა მედვედევის გვერდით და არ ისარგებლა მასთან დალაპარაკების შექმნილი შესაძლებლობით“.



გასაოცარია: პოლიტიკოსებმა, რომლებმაც 2008 წლის აგვისტოში თავიანთი სულელური, წინდაუხედავი, უპასუხისმგებლო მოქმედებებით ძირი გამოუთხარეს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და, ფაქტობრივად, დაანაწევრეს საქართველო, დღესდღეობით ქვეყანაში პოლიტიკური მოქცევის ნორმების დამკვიდრებას ლამობენ: ვინ ვისთან უნდა აწარმოოს მოლაპარაკება, ვის ვისთან დადგომისა და ფოტოს გადაღების უფლება აქვს... თანაც ამას არა მარტო საკუთრივ აკეთებენ, არამედ სხვებსაც, თავიანთ იდეოლოგიურ დამკვიდრებას იშვავებენ. მაგრამ კიდევ უფრო მეტად ისაა გასაკვირი, რომ ყველაფერი ეს —

თითქმის ყველა შემთხვევაში — გამოსდით კიდევ: ვიცე-პრემიერი თავს იმართლებს, მთავრობის მეორე წევრი იძულებულია რაღაც ახსნას, ამტკიცოს... თურმე საქართველოს საპარტნიორო ფონდის თავმჯდომარემ დავით საგანელიძემაც, რომელიც ცოტა ხნის წინათ ჩინეთში წარმომადგენლობით ეკონომიკურ ფორუმს ეწვია, ტელეარხ „რუსთავი-2“-ის აზრით, ფოტოები იმასთან გადაიღო, ვისთანაც საჭირო არ იყო. არასასურველი პიროვნება ამ ჯერზე აფხაზი კაცი, ვინმე სენერ გოგუა აღმოჩნდა. „არიქა! — ან კავნ კავდენენ როგორც იქნა ნადირის კვალში ჩამდგარი მეტეზარი ძალღივიტით სიმართლის ვაი-დამცველები. — შეხვედით, რო-

გორ ძველი ჯიგრებით საუბრობენ საქართველოს წარმომადგენელი და სუპარატისტი! ჰოდა, ყველაფერს კიდევ ერთხელ დასჭირდა განმარტებები, დაზუსტებები...“

„ჩინეთში გამართულ ფორუმზე აფხაზეთიდან არანაირი ოფიციალური დელეგაცია არ ყოფილა, წინააღმდეგ შემთხვევაში მე, ცხადია, მასში მონაწილეობას არ მივიღებდი, — მოთმინებით განმარტავს ვითარებას საპარტნიორო ფონდის თავკაცი. — სხვა ქვეყნებთან ერთად, მასში რუსეთის ფედერაციის დელეგაციაც მონაწილეობდა, რომლის შემადგენლობაში, როგორც შემგომ გაირკვა, სხენური სენერ გოგუაც ყოფილა, რომელიც ფოტოსურათზე ჩემს გვერდით აღმოჩნდა. ის ფოტო ფორუმის ორგანიზატორებმა გადაგვიღეს და მის ადგილზე 500 მონაწილიდან ნებისმიერი შეიძლება აღმოჩენილიყო, ამაში გასაკვირსა და გასაოცარს ვერაფერს ვხედავ. ბატონ გოგუას წარმომავლობის შესახებ კი მხოლოდ მას შემდეგ შევიტყვევ, რაც მასთან ერთად ერთ კადრში მოხვედრის ამბავი ქართულ პრესაში დაინერა. რაც შეეხება აფხაზეთთან დასახლებულ ჩემს მომავალ შესაძლო კონტაქტებს, მოგახსენებთ: სადაც კი შეხვდები ამ ხალხების წარმომადგენლებს, მუდამ მზად ვიქნები ხელი გავუწოდო და საერთო სატკივარზე დაველაპარაკო“...

ახლა ისევ წერილის დასაწყისს დავუბრუნდები. ფრაზეოლოგიაში „კუდიანზე ნადირობა“, თანამედროვე გაგებით განსხვავებულად მოაზროვნეთა აბსურდამდე მიყვანილ უაზრო დევნას, მოგონილი საბაბებით გარკვეული სოციალური ჯგუფების დაშინტაჟებას ნიშნავს. ამ გამოთქმას ხშირად იყენებენ სრულიად უმიზეზოდ და საამისოდ ყოველგვარი საბაბის უქონლად პოლიტიკური ან რაიმე სხვა ნიშნით ადამიანთა დისკრედიტაციის კამპანიების განზოგადოებულ სახელწოდებად ხმარობენ.

„კუდიანებზე ნადირობის“ ქართული პარადოქსი იმაში მდგომარეობს, რომ ნადირობას მისდევს არა ხელისუფლება, როგორც ეს ხშირად უწინაც ხდებოდა და ახლაც ხდება, არამედ ოპოზიციას ჰყავს აყვანილი მმართველები მთელ პოლიტიკურ პერიმეტრზე და თავის მართლებასაც აიძულებს, რასაც ისინი ხშირად ძალიან უხერხულად აკეთებენ. თუმცა კი ისიცაა, რომ ზოგიერთს აღნიშნული ვითარება სულაც არ მიაჩნია „კუდიანებზე ნადირობად“ და მით უფრო თამაშს აგონებს, რომელსაც „ექებე ქურდი“ ეწოდება, რომლის დროს სწორედ თავად ქურდი ფორიაქობს ყველაზე მეტს და თითს უდანაშაულოსკენ იშვავს, რითაც კვალის არევისა და საკუთარი თავის ეჭვებისგან არიდებას ცდილობს. ტყუილად როდია ნათქვამი — ქურდს ქუდი ეწვისო...“

ვალდო ანასტასიადი,
გამეთ „ვერენი ტბისის“
მთავარი რედაქტორი

მონტენეგრო ნატოს ნავრი სტაბილიზაცია

მონტენეგრო ნატოს 29-ე წევრი ოფიციალურად გახდა. საზღვრის ცერემონიაში მონაწილეობას ალიანსის გენერალური მდივანი იენს სტოლტენბერგი, ამერიკის სახელმწიფო მდივნის მოადგილე ტომას შენონი და მონტენეგროს პრემიერ-მინისტრი დუშკო მარკოვიჩი მიიღებენ. ნატოში მონტენეგროს მიღების შესახებ პროტოკოლს ალიანსის წევრმა ქვეყნებმა ხელი 19 მაისს მოაწერეს. მანამდე კი ნატოში განეწინაურების შესახებ კანონპროექტს მხარი ქვეყნის პარლამენტმა დაუჭირა.



ამერიკელთა საარჩევნო სისტემა უნდა შეცვალოს

პუტინი ამერიკელებს საარჩევნო კანონმდებლობის შეცვლისკენ მოუწოდებს. ვრცელი ინტერვიუ კრემლის ლიდერმა ტელეკომპანია ენ-ბი-სი-ს მისცა. „ამერიკული საარჩევნო სისტემა არასწორად არის მოწყობილი და ის პირდაპირი ფარული არჩევნის წესით უნდა შეიცვალოს. ასე ამომრჩეველთა ხმების გაკონტროლება უფრო ადვილად იქნება შესაძლებელი და სოციალურ-პოლიტიკური უსამართლობაც აღიკვეთება. ამ შემთხვევაში დამარცხებული კანდიდატები ვერაფერს დაადასტურებენ“, — აღნიშნა პუტინმა.

რუსეთს საპრეზიდენტო არჩევნებში ჩარევისთვის დღემდე მწვავედ აკრიტიკებენ. სენატის დაზვერვის კომიტეტი კი რუსეთთან ტრამპის ადმინისტრაციის კავშირებს იკვლევს.




ყაზარის საერთაშორისო იზოლაციაში ექსპედიცია

ოთხმა არაბულმა ქვეყანამ დოჰასთან დიპლომატიური ურთიერთობა შეწყვიტა. არაბეთის გაერთიანებული საამიროები, საუდის არაბეთი, ეგვიპტე და ბაჰრეინი ყაზარს ტერორისტული დაჯგუფებების მხარდაჭერაში ადანაშაულებენ. საუდის არაბეთმა ყაზართან საზღვარი უკვე ჩაკეტა, არაბეთის გაერთიანებულმა საამიროებმა კი ყაზარელ დიპლომატებს ქვეყნის დასატოვებლად 48 საათი მისცა.



პოლონეთი ევროკავშირს აკრიტიკებს

ევროკავშირმა მუსლიმ მიგრანტებს კარი უნდა ჩაუკეტოს. ამის შესახებ პოლონეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა მარიუშ ბლაშკამ განაცხადა. „ბრიუსელის მხრიდან გამოჩენილი პოლიტიკური კორექტულობას სავალალო შედეგები მოაქვს, რაც ბოლო დროს ევროპაში განხორციელებულმა ტერაქტებმა ნათლად დაგვანახა,“ — აღნიშნა ბლაშკამ. მიხეივ თქმით, ევროკომისია თავის საიმპერაციო პოლიტიკას თავს პოლონეთსაც ახვევს, რაც დაუშვებელია.



ერთი დღე მულტფილში

ერთი დღე მულტფილში - ასე უწოდეს ზეიმს, რომელიც მაგთიკომმა და ამერიკულმა არხმა Cartoon Network-მა პატარებისთვის და მათი მშობლებისთვის 3 ივნისს, მთაწმინდის პარკში გამართეს.

როგორც მაგთისატი, ისე მაგთის IP ტელევიზია არხების მრავალფეროვნებით გამოირჩევა. მაგთიკომისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თავისი პატარა მაყურებლები, რომლებსაც მსოფლიოში პოპულარულ საბავშვო არხებს სთავაზობს, მათ შორისაა არხი Cartoon Network.

3 ივნისს მაგთიმ და Cartoon Network-მა ნამდვილ მულტფილში მოიწვია ბავშვები: მრავალფეროვანი გასართობი პროგრამა გულისხმობდა მულტფილების

ჩვენებას ღია ცის ქვეშ, ექსპერიმენტების ჩატარებას ლაბორატორიაში, თოჯინების თეატრის წარმოდგენას, მხიარულ თამაშებს და თამაშებში გამარჯვებულთა დაჯილდოებას...

ამ ღონისძიებას კი წინ ერთვოდა მაგთის კონკურსი, რომელიც კომპანიამ Facebook-გვერდზე თავისი პატარა მეგობრებისთვის გამოაცხადა: მათ უნდა დაეხატათ საყვარელი გმირები Cartoon Network-ის მულტფილებიდან და გაეგზავნათ მაგთის facebook-გვერდზე.

3 ივნისს, მთაწმინდის პარკში, მაგთის კონკურსის საუკეთესო ათეულში მოხვედრილ პატარა მხატვრებს გადაეცათ პრიზები:

- Samsung-ის სმარტფონები მაგთისგან;
- სამახსოვრო სუვენირები Cartoon Network-ისგან;
- 50-ლარიანი ვაუჩერები - მთაწმინდის პარკისგან.

„მაგთიკომი მომხმარებელს 250-მდე მაღალრეიტინგულ და სხვადასხვა შინაარსით გამორჩეულ არხებს სთავაზობს, რათა გათვალისწინებული იყოს ყველა სეგმენტის გემოვნება და ინტერესი. ბოლო პერიოდში 50 ახალი არხი დაგეგმატა და ეს პროცესი მუდმივად გაგრძელდება, - აცხადებენ მაგთიკომში.



5 ივნისს ბარემოს დახვის მსოფლიო დღე აღინიშნება

ბარემოს დაცვის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ინიციატივით, რამდენიმე აქცია გაიმართა. მინისტრის პირველი მოადგილე სოლომონ პავლიაშვილი მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ გალდანში, მცირე საოჯახო ტიპის სახლს სტუმრობდა, სადაც მზრუნველობა მოკლებულ ბავშვებთან ერთად, დარგვის აქციაში მიიღო მონაწილეობა. ეზოს მიმდებარე ტერიტორიაზე 40-მდე ტუიას, თელასა და კაკლის სახეობის ნერგები დაირგო.

ასევე, „სუფთად ევროპისკენ“ კამპანიის ფარგლებში, საქართველოს რეგიონებში დასუფთავების მასშტაბური აქცია გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად მოსახლეობამ მიიღო.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ინიციატივით „გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამა“ (UNEP) ყოველი წლის 5 ივნისს უძღვნის გარემოსდაცვით ერთ-ერთ პრობლემას. წლებიდან გაეროს დაცვის საერთაშორისო დღის თემაა ადამიანის კავშირი ბუნებასთან.



თავზარდაცვალი დემოგრაფია

ილაპარაკეთ, ყველაფერზე ილაპარაკეთ და...

ჰო, მთავარი არავის ასხენდება, ხელი-სუფლებზე რომ არაფერი ვთქვათ, არც პარლამენტს: ეს არასამთავროები ხომ ნაციონალურ ღვიძლნი არიან, ჭამენ და ხრავენ ბატონ ბიძინა ივანიშვილს. განა არ იციან, ბიძინა რომ არა, დღეს საქართველო ლამის ქართველების გარეშე იქნებოდა, ჰოდა, ამას ვერ პატიობენ, თუ ვინ, ეგ ყველამ იცის და მათ ავადასხენებელ სახელებს რა ჩამომათვლევინებს.

მხოლოდ უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორის ნათლულებით კი მრავალდება ერი, მაგრამ ეს ხომ ზღვაში წვეთია.

ახლახან ერთ-ერთ პოპულარულ გაზეთში ნაიკითხე მართლაც ერის კაცის, ქართველთა ჯიშ-ჯილაგის გადარჩენისათვის დაუცხრო-მელი მებრძოლის, დემოგრაფის, პროფესორის ანზორ თოთაძის წერილი და გულზე შემომეყარა, აქვე მომყავს მცირე ამონარიდი, ვრცელი საგაზეთო სტატიის ციტატა:

„2015 წელთან შედარებით, 2016 წელს შობადობა 2 ათას 680 კაცით შემცირდა, ხოლო გარდაცვლილთა რაოდენობამ 50 ათასი შეადგინა, ასეთი ცუდი მაჩვენებელი ათწლეულები არ გვექონია, 4 ათასი ერთეულით შემცირდა ქორწინებები საქართველოს მასშტაბით, 2014 წელს სულ 60 ათასი ბავშვი დაიბადა, 2015 წელს - 59 ათასი, ხოლო 2016 წელს 56 ათასი.“

განსაკუთრებით საშინელი მდგომარეობა იმერეთში, გურიასა და სამეგრელოში...“
რომ იტყვიან, კომენტარი ზედმეტია, გამოდის რომ ჩვენი თაობა საკუთარი ხელით მარხავს ქართველი ხალხის სისხლით და



ბრძოლით განვილი 3 ათას თუ ბევრად მეტ-წლოვან გმირულ ისტორიას. ანდა, რა პირით ვახსენებთ ფარნავაზს, როცა მის მიერ შექმნილ სახელმწიფოებრიობას უმოწყალოდ ვმარხავთ, რას ვეუბნებით დავით აღმაშენებელს, თამარს...

სიტყვები არ მყოფნის - რანი ვიყავით, რანი გავხდით. როგორ დავეცით, ამ დროს ერთი ალიაქოთია ატეხილი კოსტიტუციაში მინის გაყიდვად გაყიდვავზე, რაო, კონსტიტუციის გარეშე არ მიაქვთ ჩვენი მიწები?..

გასული საუკუნის 90-იან წლებში, საქართველოში რუსთაველის საზოგადოებასთან შეიქმნა დემოგრაფიული საზოგადოება, მა-

შინ მე რუსთაველი ჩამოვყავილებე ეს ორგანიზაცია, მასში ვანერგე დედებს, 4 და მეტი შვილი რომ ჰყავდათ, თავიდან 247 დედა შემოვიკრიბეთ. მოხდა სასწაული, 4-5 წელში ჩვენი საზოგადოების რაოდენობა 800 დედით გაიზარდა, მათ შორის იყვნენ 13-შვილიანი სიჩინავეები, 11-შვილიანი ნათენაძეების, 9-შვილიანი გეგეშიძეების, 5 და 7-შვილიანები ხომ ბევრზე ბევრი იყო.

ამ საშვილიშვილო საქმეში გვეხმარებოდნენ ქალაქის ხელისუფლება, სამრეწველო სანარმოთა ხემძღვანელები, ჩვენც ვახალისებდით დედებს, მაშინ, ერთხელ კიდევ დავრწმუნდი, რომ ჩვენს დედებს უყვართ

შვილთა სიმრავლე. მერე კი, რაც მოხდა, ყველამ იცის. დემოგრაფები გვიწინასწარმეტყველებენ, თუ ასე გაგრძელდა, 2050 წლისათვის ჩვენ უმცირესობაში ვიქნებით, ამას დიდი წინასწარმეტყველი არ სჭირდება.

მთელი ჩემი ცხოვრება ამ პრობლემის, ერის გადარჩენის ძიებაში ვარ, მეოთხედი საუკუნე, იმ დროინელი საქართველოს ტელურადიო მაუნჯებლობის ქვემო ქართლის ზონის კორესპონდენტად მუშაობის პერიოდში, შემდგომ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ჟურნალისტობის ჟამს ასობით გადაცემა, პუბლიკაცია მიუძღვინი ერისათვის ამ უმტკივნეულებს, სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემას, იმ ხანად ასე თუ ისე კი იღებდნენ ყურად, შემდგომ კი, როცა ავისრულეთ, როცა მეოთხედი საუკუნეა, გავხდით თავისუფალი, ახლაც ისევე ვწერ, მაგრამ მერე რა, წერე და იკითხე.

P.S. როდესაც ნეტარსხენებული, გმირთაგმირი ერეკლე მეორე, ბრძოლით მოღლილ-მოქანცული, ლამის სასონარკვეთილი რუსეთს „შეეფარა“ (აბა რა უნდა ექნა, ირანოსმალოს ხომ არ შეეჭმევენებოდა), მაშინ ქართველები 750 ათასილა ვიყავით, 1989 წლის აღწერით უკვე 5 მილიონ ნახევრიან საქართველოში ქართველობა 3 მილიონ 886 ათასს შეადგენდა, დღეს, ალიაბალია, ყველანი ერთად 3 მილიონ 300 ათას ძლივს აღემატება ჩვენი მოსახლეობა.

ჰოდა, ცარიელ მინას ვინ შეგარჩენს 7-მილიარდიან დედამიწაზე.

ამ დროს, ვისაც პირში ენა მოეძვება, კბილებშიშვებით ატრიალებენ და ატრიალებენ, ტელურადიოში, პარლამენტში, არ იშურებენ ქალაქს, გაზეთებს აჭრელებენ, წერენ და ამბობენ ყველაფერზე, ჭამენ და ღრღნიან ერთმანეთს. აი, ქვეყნისა და ერის გადარჩენაზე კი კრინტსაც არ ძრავენ.

გივი ჯახუა,
ილია ჭავჭავაძის, დავით კლიაშვილის, სერგეი მესხისა და საქართველოს მწერალთა კავშირის პრემიების ლაურეატი, გამეთ „სრ“ საკ. კორ.

რაზი ჩვენი თაბაშია!

„ქურციკებმა“ ორმა ლელომ არ იკაბრა

უმცროსმა „ბორჯღალოსნებმა“ მსოფლიო რაგბის 20-წლამდელთა ჩემპიონატის მეორე მატჩში სამხრეთ აფრიკასაც ორი ლელო დაუდეს, თუმცა, ეს საკმარისი არ აღმოჩნდა და „ნორჩმა ქურციკებმა“ 38:14 იმარჯვეს.

ბიჭებს მონდომება არც ამჯერად აკლდათ და მონინალმდეგესთან 15-20 წუთი უპირატესობას ფლობდნენ, მაგრამ მეტოქის მაღალი სათამაშო კლასი აქაც გადამწყვეტი აღმოჩნდა. უმცროსმა „ბორჯღალოსნებმა“ ყველა ქულის მოპოვებას უდიდესი ენერჯია შეაღწიეს, უფრო მეტი გამოუყენებელ მომენტებში დახარჯეს, აფრიკელებმა კი ჩვენი შეცდომებით ისარგებლეს და პირველი ტაიმის მიწურულს გადამწყვეტი უპირატესობა მოიპოვეს.


„ქურციკები“ თბილისში ერთ-ერთი ფავორიტის რანგში ჩამოვიდნენ, მაგრამ პირველ ტურში საფრანგეთთან მხოლოდ ფრეს დასჯერდნენ და ქართველებს დიდი მონდომებით ეკვეთნენ. პირველი ტაიმის 35-მა წუთმა თანაბარ ბრძოლაში ჩაიარა და მეტოქის ნახევარზე დიდი დრო გაატარა, თუმცა, მრავალი შესაძლებლობიდან მხოლოდ ერთი გამოვიყენეთ.

მატჩის დებიუტში მეტოქეებმა თითო ჯარიმა ააცილეს. მერე აფრიკელებმა ტემპს უმატეს და მაგრად შემოგვიტყვეს. გარკვეული დროით მათი მიძალების შეჩერება შეეძლო, მაგრამ მე-17 წუთზე აუგუსტუსმა მრავალჯერაინი იერიში ლელოთი დაასრულა და სილიერმა გარდასახვით მონაგარს კიდევ 2 ქულა შემატა.

ამის შემდეგ იყო დაახლოებით 15 წუთი, რომლის დროსაც უმცროსი „ბორჯღალოსნები“ დომინირებდნენ. მეტოქის ლელოს ხაზი ორჯერ გადაიკვეთა და პირველად ეს გუნდის კაპიტანმა ილია სპანდერაშვილმა მოახერხა, რომელიც ლელოში შეიჭრა და მინაზე ბურთიანად დაეშვა. თავიდან რეფერიმ ლელო ჩასტვინა, მერე ვიდუო-რეფერი მოითხოვა და დიდი ხნის მსჯელობის შემდეგ ლელო გატვიუქმა — საკამათო ეპიზოდი მსაჯმა სტუმართა სასარგებლოდ განსაჯა და ჩათვალა, რომ სპანდერაშვილს ბურთი დამინებამდე დაუვარდა.

ვინაიდან მანამდე ხეირზე ვთამაშობდით, ჯარიმა დაგვიბრუნდა, იოლი 3 ქულის აღებაზე უარი ვთქვით და ლელოზე ვითამაშეთ, მაგრამ უშედეგოდ. 30-ე წუთზე კუთვნილი ლელო მაინც დავდეთ: კვესელაძის ოფლოუდის შემდეგ დავით მესხი მბოჭავს ფლანგზე გაექცა და სიჩქარე აკრიფა, ბურთი თედო აბუანდაძესთან გაითამაშა და იერიში გელა აფრასიძეს გააგრძელებინა, რომელსაც მიზნამდე სულ ცოტა დააკლდა, სპანდერაშვილმა ბურთი კიდევ უფრო ნინ წანია, რაქიდან ლაშა ტაბიძემ და უჩა ტყეშელაშვილმა ერთად დაარტყეს და დამსახურებული ლელო აფრასიძემ გარდასახა — 7:7.

„აგვალაზე“ მისული გულშემატკივარი გაგრძელების მოლოდინში ახმაურდა და მე-



ტოქის ნახევარზე კარგი შესატყვი პლაცდარში მივიღეთ, თუმცა, დერეფანში ბურთი დაიკარგა, ფეხით გადმოვიდებოდა ვერ ავიღეთ და სიმულანემ ლელოთი დაგვამსუხრა. ორიოდ წუთში კიდევ ერთხელ შევცდით, ფეხით გადავიდებოდა ბურთი მეტოქის ნადავლი გახდა, სამჯერ ფეხით თამაშის შემდეგ ჩვენს ლელოში აღმოჩნდა და ლიბოკმა დაამინა. ორიდან ერთი გარდასახვა ზუსტი იყო და 7:19 ჩამოვრჩით.

შესვენების შემდეგ პირველი შეტევა ჩვენი იყო, მაგრამ უქულოდ დასრულდა. მერე რეფერიმ რამდენჯერმე შეჩერებებში დაგვაჯარინა და ბოლოს შეცვლაზე შესული გურამ გოგინაშვილი გაასინბინა. აფრიკამ მეტობა 12 ქულად აქცია. მეოთხე ლელო პენქსემ 54-ე წუთზე მიითვალა, ორ წუთში კი „ქურციკებმა“ ხელდახველ კონტრშეტევა წამოიწყეს და სიმულანემ დუბლი შესარულა.

65-ე წუთზე სტუმრებს მეორე ლელოთი ვუპასუხეთ. მოლიდან ბურთი ხაზზე გამოვიდა, აბუანდაძემ ის ძელებსშუა ფეხით შეატურა და გიორგი გოგოლაძე კარგად მიყვა. ლიბოკმა ლელოთი მალევე გვიპასუხა, ხოლო დასკვნითმა წუთებმა ქართველთა იერიშებში ჩაიარა. მესამე ლელოს დადებაც შეიძლებოდა, მაგრამ ეს არ გამოვიდა. უკანასკნელ წუთებზე რეფერიმ ერთი აფრიკელი ყვითლით, ხოლო მეორე ნითელი ბარათით გააძევა. სინბინში გაუშვა თორნიკე ჯალალონიაც და მალე შეხვედრაც დასრულდა — 38:14 აფრიკელთა სასარგებლოდ.

ჯგუფური ეტაპის დასკვნით მატჩში 8 ივნისს საფრანგეთს „აგვალაზე“ 18 საათზე ვეთამაშებით. **ვიტალი ჯაფარიძე**

სამეფო კლუბის თაბაშია!

რეალითი ზოუ - მეთორმეტად!

მაინც, რა არის ეს ფეხბურთი. ისე, არც არაფრით განსაკუთრებული — ცხოვრებისა არ იყოს, მცირე მასშტაბით, აღმართს დაღმართი მოწყვეტოდა ხოლმე და პირიქით.

იყო 32-წლიანი პერიოდი, როცა ჩემპიონთა თასის ზედიზედ 6-ჯერ მოპოვების შემდეგ მადრიდის „რეალმა“ ევროპულ სარბიელზე კანტიკუნტად გასროლადა მოახერხა და უეფას თასზე მხოლოდ ორჯერ გამარჯვებას დასჯერდა.

მაგრამ სამეფო კლუბი რისი სამეფო კლუბი იქნებოდა, ტახტზე რომ არ დაბრუნებულიყო, თანაც — ღირსეულად და დიდი ხნით. ვასტილიელთა ახალი, ძლევაგამოსილი ეპოქის დასაწყისი ფლორენტიმო პერესის გაპრეზიდენტებას უკავშირდება.

გოლები: რონალდუ (2), კაზემირო, ასენსიო; მანჯუკიჩი.

საუკეთესო შეტევა საუკეთესო დატვის წინააღმდეგო — ასე მოინათლა ძველ მეტოქეთა უელსური დუელი. თანაბარი პირველი ტაიმის შემდეგ განვითარებულ მოვლენებს თამამად შეგვიძლია მოიერიშეთა ბენეფისი ვუნოდოთ. თავად განსაჯეთ — ჯანლუიჯი ბუფონს აუხდენელი დარჩა ძველი ოცნება — ყველაზე პრესტიჟული ევროტურნირის მოგება, თანაც მან ერთბაშად იმაზე მეტი ბურთი გაუშვა, რამდენიც მთელი ტურნირის განმავლობაში, ერთად აღებული. აღარაფერს ვამბობთ კრიშტიანუ რონალდუს მიერ დამყარებულ რეკორდებზე, რომელმაც დიდი ნაბიჯი გადადგამეს მესხეთე ოქროს ბურთისკენ.



განვლილ უქმებზე „სანტიაგო ბერნაბეუს“ ბინადრებმა რეალთი ზოუ მეთორმეტედ დადგეს, ამჯერად — კარდიფის „მილენიუმის“ სტადიონზე და, როგორც იქნა, ნავსი გატეხეს — როგორგანიზაციის შემდეგ ჩემპიონთა ლიგა აქამდე ზედიზედ ორჯერ არავის მოეგო. სიმბოლურია, რომ ეს ბინადნი ზიდანის გუნდმა მისი ყოფილი კლუბის ძლევით შეძლო.

„რეალი“ — „იუვენტუსი“ 4:1 (ჩ)

გიორგი შოთაძე

მხარე

ერთი ბასროლით - ორი კურდღელი

ბავშვს წუნუნებენ — რეგიონებში მომავალი თაობის დაფრთხილება პრობლემას წარმოადგენს, მაგრამ, საბედნიეროდ, არც მთლად მასეა საქმე, რაც შემოთავაზებული წერილით გვსჯარს დაგმტკიცოთ.

გორის მე-2 საჯარო სკოლის მოსწავლე დამას — 8 წლის მათე და 7 წლის ბარბარე ბერიაშვილებს ჩოგბურთში მამა — ირაკლი ბერიაშვილი წვრთნით. მათემ შარშან დაიწყო ვარჯიში და მაშინვე მოიგო თანატოლთა შორის ორი პრესტიჟული ტურნირი — ელერდაშვილისა და გოგილაშვილის მემორიალები.

ამ წარმატებებმა ნიჭიერ ყმანვილზე დომინაციით იმოქმედა და წლეულს ერთბაშად ოთხი ასპარეზობის ფინალში გავიდა, სულ კი 23 შეხვედრიდან 20(!) მოიგო და მხოლოდ სატიტულო ბრძოლები დატმო.

კიდევ უფრო შთამბეჭდავია ბარბარეს შედეგები, რომელიც, სხვათა შორის, ძირითადად ბიჭებში თამაშობს და, თამამად შეიძლება ითქვას, მუსრსაც ავლებს მათ — 33-დან 33 გამარჯვება(!). დაგვეთანხმებით, ასეთი მიღწევებით ბევრი გაცილებით გამოცდილი სპორტსმენი ვერ დაიკვენის.

რასაკვირველია, მამაზე უკეთ შვილების შესაძლებლობებსა და თავისებურებებს ვერავინ ჩანვდება, მაგრამ ისიც უდავოა, რომ ნორჩთა ტალანტს მოფრთხილება უნდა. ამ მხრივ დამას ბერიაშვილებს მართლაც რომ გაუმართლათ, ვინაიდან გორის სპორტსკოლის თავკაცი კონსტანტინე ხუბულური ოჯახის წევრით გვერდში უდგათ და დაოსტატებისთვის ყოველგვარ პირობებს უქმნით. ვიმედოვნებთ, მის მშობლიურ ამაგს სათანადო დაფასება მალე მოჰყვება.

დავძენთ, რომ მათე და ბარბარე ლი-

ალბათ, კიდევ კარგახანს იმსჯელებენ, რამ განაპირობა ასეთი შედეგი. სწორ შეფასებას ემოციების დაცხრომა რომ სჭირდება, ოდითგანვეა ცნობილი, ცხელ გულზე კი მოკლედ მოვჭრით: იტალიურ გრანდს ქარიზმატული ლიდერი არ ჰყავს და ფსიქოლოგიურადაც მოიკოჭლებს — 9-დან უკვე მეშვიდე ფინალი წააგო.

ინტერნეტიდან

ნიჭი ბიზნესსაც უნდა



დიდი ფეხბურთიდან და ხელიდან წასული ლეგენდარული ფრანგი ფეხბურთელის კლოდ მაკელეს მეუღლე, ყოფილი მოდელი და მსახიობი ნოემი ლენორი ბოლო წლებში კინემატოგრაფიითა და სარეჟისორო ხელოვნებით აქტიურად იყო დაკავებული.

ქალბატონ ლენორს თავისი საქმიანობის ვინრო სპეციალობად ეროტიკული შინაარსის ფილმების გადაღება ჰქონდა არჩეული და მის მიერ გახსნილი სტუდიიდან დღითა თუ ღამით ისეთი ხმები და ქმენა გამოდიოდა, მთელი პარიზის ჯველი ბიჭ-ბუჭობა კედლებზე იყო აკრული და შიგნით შემშვებას ითხოვდა.

ეს ბიზნესი, როგორც ირკვევა, საკმაოდ დიდ მოგებასაც ტოვებდა, მაგრამ მოხდა ისე, რომ ეკონომიკური კრიზისის მსახურალი ხელი ქალბატონი ნოემი ლენორის საქმიანობაც შეეხო და კლოდ მაკელეს ცოლს ასეთი შესანიშნავი სტუდიის დახურვა მოუწია. აბა, გული როგორ არ დაგენვება კაცს ამის გაგების შემდეგ?!...

როსტომა რაჭველიშვილი



ლიბენდარულ აღიქმადრამ მებრეველთან ერთად

რსეულად აგრძელებენ ოჯახის სპორტულ ტრადიციებს — პაპამ — ჩვენმა ძვირფასმა კოლეგამ ირაკლი ბერიაშვილმა (უფროსი) და ბიძამ გიორგი ბერიაშვილმა სწორედ აღნიშნულ სახეობაში დაიმსახურეს ავტორიტეტი, მამა — ირაკლი ბერიაშვილი (უმცროსი) კი მძლეოსნობით იყო გატაცებული. კერძოდ, გიორგი საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი იყო და ჭაბუკთა საკვირო სპარტაკიადა მოიგო, ხოლო ირაკლიმ 1990 წელს ტრიატლონი გამართულ პირველ ეროვნულ ჩემპიონატში აჯობა ყველას.

ასე რომ, კვიცი გვარზე ხტის და გაგრძელება აუცილებლად იქნება.

კოვა კოვახიძე

იგორ სვეტლოვი საჯარო ლექსიებს გამართავს

ასონიანი „კულტურათა დიპლომატი X XI“-ის (პრეზიდენტი – ვალერი ასათიანი), საქართველოს კულტურის ფონდისა (თავმჯდომარე – თამაზ შილაკაძე) და მერაბ ბერძენიშვილის კულტურის საერთაშორისო ცენტრ „მუზა“-ს მეფობით თბილისს სტუმრად ეწვევა ცნობილი რუსი ხელოვნებათმცოდნე, მოსკოვის ვ. სურვიკოვის სახელობის სახელმწიფო აკადემიური სამხატვრო ინსტიტუტის ხელოვნებათმცოდნეობის კათედრის გამგე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი **იგორ სვეტლოვი**.

ის არის რუსეთის სამხატვრო აკადემიის საპატიო წევრი, ხელოვნებათმცოდნეთა ასოციაციის წევრი, პოლონეთის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე; დაჯილდოებულია პოლონეთის, უნგრეთის, რუმინეთის ორდენებითა და სახელმწიფო ჯილდოებით; წიგნისთვის „რომანტიზმიდან სიმბოლიზმისკენ“ მინიჭებული აქვს რუსეთის სამხატვრო აკადემიის ვერცხლის მედალი.

იგორ სვეტლოვი მრავალი მონოგრაფიისა და წიგნის ავტორია, მათ შორის გამორჩეულია „1960-1980-იანი წლების საბჭოთა სკულპტურა“, „სახალხო პოლონეთის სკულპტურა“, „თანამედროვე რუმინული სკულპტურა“, წიგნის-ალბომები: „კლიმტი“, „ფრანც ფონ შტუკი“, „უისტლერი“, „გერმანული და ავსტრიული სიმბოლიზმი. ეტიუდეები“, „გუსტავ მორო. საფრანგეთი XIX საუკუნე“, შემდეგნეულია XIX და XX საუკუნის რუსული და საზღვარგარეთული ხელოვნების მრავალი კრებული.

იგორ სვეტლოვის თბილისში ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია მისი საჯარო ლექციების გამართვა ევროპული სიმბოლიზმის შესახებ.

4 ლექციის თემატიკა ასე გადანაწილდება:
პირველი ლექცია (9 ივნისი): „გერმანული სიმბოლიზმი. ა. ბიოკლინი, ფრანც ფონ შტუკი, მ. კლინგერი“;
მეორე ლექცია (13 ივნისი): „ავსტრიული და შვეიცარიული სიმბოლიზმი. გ. კლიმტის შემოქმედებითი სინთეზები. ფ. შოდლერის ექსპრესია და ლირიკული ესთეტიზმი“;
მესამე ლექცია (15 ივნისი): „ფრანგული და ბელგიური სიმბოლიზმი. პ. პიუვი დე შავანის ანტიკურობა და სიმბოლისტური მითოლოგია. გ. მოროს ფანტაზიური იდეალიზმი.“


ური იდეალიზმი.

ბრიუსელი. „ჯგუფი XX“. ფ. კნოპფის დუმილი. მარტოობის, უდაბნოს ქალაქის თემები. უ. დელვილის ზეციური ხედვები – ფილოსოფიური მისტიციზმი“;

მეოთხე ლექცია (16 ივნისი): „სიმბოლიზმი აღმოსავლეთ ევროპაში. „ახალგაზრდა პოლონეთი“. ი. მალჩევსკი – პიროვნების დამცირების თემა და ერთა ბედი. ს. ვისპიანსკი – პოლონური პოლიქრომიის ექსპრესიული სიმბოლიზმი. პორტრეტისა და პეიზაჟის სიმბოლისტური ტრანსკრიპცია „1900-იანებში“.

ჩეხური სიმბოლიზმის მისტიციზმი. მ. შვაბინსკი, ფ. ბილევი. ფ. კუპკას მეტაფორები. სიმბოლიზმიდან აბსტრაქციონიზმისკენ.

რუსეთი. პ. კუზნეცოვის პანთეონი. მზე და წყვილი პ. უტკინის სიმბოლისტურ პეიზაჟებში“.
იგორ სვეტლოვის საჯარო ლექციები გაიმართება მერაბ ბერძენიშვილის საერთაშორისო ცენტრ „მუზაში“ (მისამართი: კუს ტბის №1). დასაწყისი 12 საათზე. **ჯურაბ ოიკაშვილი**



მადლიერების ბრძნობით

დღეს, სულის მიბარების მე-9 დღეს, მადლიერების გრძნობით დიდი მადლობა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორატს, საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიების და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტს, მედიატექნოლოგიების დეპარტამენტს, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიას, განსაკუთრებით „კუს ტბის“ სამეგობროს და ყველას, ყველას, ვინც გაიზიარა ჩვენი დიდი მწუხარება

ბორის ივნაძის

გარდაცვალების გამო.
ოჯახის სახელით: **მიუღლე ელისაბედ (იზა) ხახუტაშვილი, შვილიაზი ლევან, ნინო ივნაძე-ბი, შვილიშვილიაზი ირაკლი, გიორგი, სიმე გიპარდოსანიძეები.**

იური ქოლოკავა, შალვა მგალობლიშვილი, ჯემალ მეზუკე, გიორგი სალარაძე, ბეჟან უგულავა, ბადრი თოფურია იუნჯებიან მეგობრის

ბონდო ჟღანის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

„მძევლები“ საფესტივალ პარიზის ბანაბრობს

რეჟო ბიგინიშვილის ფილმი „მძევლები“ ივნისის თვეში 2 კინოფესტივალზე მიწვეული.

„თვითმფრინავის ბიჭების“ ისტორია ჯერ 10 ივნისს ფესტივალ „კინოტავრის“ საკონკურსო პროგრამაში გაცემულდება, შემდეგ კი ფილმი ედინბურგის საერთაშორისო კინოფესტივალზე გადაინაცვლებს, სადაც „მძევლებს“ ინგლისური პრემიერა 24 და 25 ივნისს გაიმართება.

რეჟო ბიგინიშვილის ფილმი „მძევლების“ მსოფლიო პრემიერა ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალზე შედგა.

ჩვენებას ფილმის რეჟისორთან ერთად მსახიობები, პროდიუსერები და გადამღები ჯგუფის სხვა წევრები დაესწრნენ.

ფილმის სცენარი ეფუძნება 1983 წელს რეალურად მომხდარ ამბავს, რომელიც საბჭოთა კავშირიდან ახალგაზრდების ჯგუფის მიერ თვითმფრინავის გატაცებასა და მის შედეგებს აღწერს. „მძევლები“ ქართულ-რუსულ-პოლონური კოპროდუქციაა. ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც ფილმი ქართული და პოლონური კინოცენტრების ერთობლივი დაფინანსებით შეიქმნა.



ავტოსაგზაო ტრაგედია

ავტოსაგზაო

შემთხვევა მოხდა თბილისი-სენაკი-ლესელიძის ცენტრალურ მაგისტრალზე. შემთხვევის შედეგად გარდაცვლილია ორსული ქალი.



მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მეხუთე ნაწილით დაიწყო, რაც გულისხმობს ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა.

სტუდენტური კინოფესტივალის გამარჯვებულები

Tbilisi 10th International Student Film Festival
31 May - 4 June 2017
თბილისის საერთაშორისო სტუდენტური კინოფესტივალი

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, თბილისის მერიისა და კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის მხარდაჭერით, 31 მაისიდან 4 ივნისის ჩათვლით, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ორგანიზებით თბილისის საერთაშორისო სტუდენტური კინოფესტივალი გაიმართა.

4 ივნისს, დაჯილდოების საზეიმო ცერემონიაზე თბილისის მერიის ბიგ ბენდის კონცერტის შემდეგ ფესტივალის საერთაშორისო ჟიურის წევრებმა გამარჯვებულები გამოავლინეს:

საუკეთესო ანიმაციური ფილმი: „მარწყვის დღეები“ / სლოვაკეთი
საუკეთესო დოკუმენტური ფილმი: „ტაიმორის შოუ“ / ისრაელი
საუკეთესო მხატვრული მოკლემეტრაჟიანი ფილმი: „ბიზნესი“ / არგენტინა
ჟიურის პრიზი: „ფანჯარა“ / იტალია
ასევე გაიცა სპეციალური დიპლომები იმ სპეციალობების მიხედვით, რომლებიც ისწავლება მსოფლიო კინოსკოლებში:
რეჟისურა: „სართული X“ / გერმანია;
ხმის რეჟისურა: „მასლობლად“ / პოლონეთი;
ოპერატორის ნამუშევარი: „დანაშაულებრივი მიზანი“ / ჩინეთი;
მონტაჟი: „თავშეყრის შემდეგ“ / ფინეთი;
სცენარი: „დონორი“ / საქართველო.



გეო ჰოლდინგი გადავისდით თქვენს კრედიტს საქართველოს ნებისმიერ ბანკში.

დანვრილებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ ან დაგვიკავშირდით:

ქ. თბილისი, გლდანი, ვეკუას ქ. №12 (მეტრო „ანმეტელის“ მიმდებარე ტერიტორია) ტელ: 557 575 323; 557 575 811

geo-holding.net
სამუშაო საათები:
ორშაბათ-პარასკევი: 10:00-დან 20:00 სთ-მდე
შაბათი-კვირა: 11:00-დან 18:00 სთ-მდე.

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
სულხან-საბას ქ. №3. 293-13-34; 599 797679

კულოცავთ!

უდალაცო კაცის ორი სუთიანი

გელა ღლონტი - 55

ნათქვამია – სიძე-ცოლისძმამ დევი ყუ-რით მოათრიაო, დევებზე რა მოგახსენო, მაგრამ ამ 35 წლის მანძილზე ჭირი და ლხინი ერთად გვიტარებია, არაფერს შევ-პუებვიართ და ყოველთვის ისეთივე ერთ-გული, უდალაცო და გვერდში მდგომი დარ-ჩი, როგორიც იყავი. გილოცავ, ძმაო, 55 წლის იუბილეს, ჯანმრთელად მენახე და კვლავ ჩვეული ერთგულებით გაუძიებ შენს დიდ ოჯახს.

ღმერთმა გამრავლოთ და გაბედნიეროთ შენი კეთილისმსურველები, შენი შვილიშვი-ლის, პატარა ანდრია ღლონტის თამაღო-ბით. იხარე!!!

მამუკა ვაშაქიძე ოჯახით



იგლუ აეროპორტი

ღარბაზი, სადაც იგლუებია, განთავ-სებულია Concourse A-ში, A1 ჩასასვლომი დარბაზის მახლობლად.

აღნიშნულ ლოკაციაზე განთავსებუ-ლია 20 ერთეული საძილე კაფესულა და 7 ორსაწოლიანი კაბინა საბავშვო სანოლით. ადგილის დაჯავშნა ერთი საათით ან



ერთი ღამით შესაძლებელია მხოლოდ sle-ep 'n' fly-ს საიტზე.

რაც შეეხება ფასებს, ერთი საათის ღი-რებულება 17 დოლარიდან, ხოლო მთლი-ანად ღამის 130 დოლარიდანაა. კაბინა-ში კი საათი 60 დოლარიდან, ხოლო მთე-ლი ღამე 271 დოლარიდან ღირს.

ლაუნჯში არ იყიდება საჭმელი და სასმელი, თუმცა აქ შეგიძლიათ იყიდოთ კბილის პასტა, ჯაგრისი და ასევე გაპარ-სვისათვის საჭირო ატრიბუტები.

იგლუ ეს არის კანადელი ესკიმოსების ზამთრის საცხოვრებელი.

იგლუ შენდება თოვლის ბლოკებისგან და წარმოადგენს გუმბათისებურ კონსტ-რუქციას. როგორც წესი, იგლუს დიამეტ-

რია 3-4 მეტრი და სიმაღლე 2 მეტრამდე. ღრმა თოვლისას იგლუს შესასვლელი კეთდება თოვლში გათხრილი გვირაბის სახით, ხოლო, თუ თოვლის საფარი არაა სქელი, მაშინ გარედან თოვლის ბლოკე-ბისგან კეთდება დერეფანი, ეს იგლუს ქა-რისგან იცავს. თოვლი კარგი თბოიზოლა-ტორია, ამიტომ როდესაც ჰაერის ტემპე-რატურა -40 -45 გრადუსია, შიგნით ტემ-პერატურა შესაძლოა, მერყეობდეს -7-დან +26 გრადუსამდე. იგლუს სპეციალურად არ ათბობენ. ცივი ჰაერის შემოდინება უზ-რუნველყოფს თოვლის შიდა ზედაპირის გაყინვას, რაც არ იძლევა იგლუს დადნო-ბის საშუალებას.

იგლუს ასაშენებლად აუცილებელია დიდხანს ნადები კარგად გამაგრებული თოვლი. ბლოკების დაჭრა ნებისმიერი მჭრელი ინსტრუმენტით შეიძლება. გა-მოჭრა იმ მხრიდან იწყება, საიდანაც ქა-რი უზერავს, რადგან აქ თოვლი უფრო მკვრივია. ხანდახან თოვლის ბლოკებთან ერთად ყინულიც გამოიყენება, რათა იგ-ლუში სინათლემ შეაღწიოს. იგლუს ჭერ-ში ტოვებენ ღია ხვრელს ვენტილაციის-თვის და განათებისთვის.

იგლუს არქიტექტურა უნიკალურია. მისი ბლოკები სპირალურად ლაგდება ისე, რომ კედლები თავისუფლად იტანს სასუ-რავის სიმძიმეს, ხოლო ვენტილაცია არ აძლევს თოვლს გადნობის საშუალებას.

იგლუში დასაძინებელი ადგილები ამალეულ პლატფორმაზეა, ვინაიდან თბილი ჰაერი ზემოთ ადის, ხოლო ცი-ვი ქვემოთ ჩადის. ზოგი ტონები იგლუში ცხოველთა ტყავებს აფენენ მეტი სით-ბოსთვის.

დედაბაბაძი

„აბა რა, ოჯახზე საუკეთესო რაღა უნდა იყოს?!“

ამდენი მომღერალი და მო-ცეკვავე ბავშვი, ამდენი ბედნიერე-ბით გაცისკროვნებული სახე და გასხივოსნებული თვალები, ამდე-ნი ლამაზად და კოპნიად ნაირ-ნა-ირ საესტრადო თუ გამოსასვლელ სამოსელში გამოწყობილი პატარ-რა, დავით აღმაშენებლის პროს-პექტის თანამედროვე ზღაპრად გადაქცეულ საფხვამავლო ზონას, ალბათ, გასულ შაბათამდე არ ენახა.

მართალია, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე ოფიცია-ლურად 1 ივნისს აღინიშნება ხოლმე და ის, ცხადია, საქარ-თველოშიც ვიზიტირებ, მაგრამ, იმის გამო, რომ პირველი რიცხვი სამუშაო დღე იყო, საქართველოს ბავშვთა დაცვის ფონდმა და თბილისის მერიამ, ონკოლოგიურად დაავადებულ ბავშვთა დასახმარებლად დი-დი საქველმოქმედო აქციის მოწყობა შაბათს, 3 ივნისს გა-დანწყვიტეს.

ამ უაღრესად კეთილშობი-ლური საქმის მთავარი გმირე-ბი, უფრო სწორად კი შემოქმე-დნი, თბილისის ბაგა-ბაღთა აღ-საზრდელები გახლდნენ, რომ-ლებმაც, ჯერ ერთი, რომ არაჩ-ვეულებრივი კონცერტი გამარ-ტეს, რომელმაც დამსწრეთა აღ-ფრთოვანება გამოიწვია, მეორე კი დღე ის, რომ თავიანთი სახელოვნებო ნამუშევრების უამრავი გამოფენა-გაყიდვა მო-ანწყვეს, რომელთაგან მიღებუ-ლი მთელი შემოსავალი 16 წლამდე ასაკის ონკოლოგიურ-

რად სწულ ბავშვთა და მოზარ-დთა დახმარების ფონდში გა-დარიცხეს.

სიტყვამ მოიტანა და აქვე აუცილებლად უნდა ითქვას, რომ აღნიშნულმა ფონდმა, რომელიც რამდენიმე წლის წინათ პრემიერ-მინისტრის ინიციატი-ვით შეიქმნა, არსებობის მან-ძილზე ამ უაღრესად კეთილშო-ბილური მისიისთვის უზარმა-ზარი თანხის – 10 მილიონი ლა-



რის მობილიზება შეძლო, სა-ხსრები 390-ზე მეტ ბენეფიცი-არს მოხმარდა, რისთვისაც მის თანამშრომლებსაც, ასევე დი-დი თუ მცირე წვლილის შემტან-საც უდიდეს მადლობას მო-გახსენებთ!

რაც შეეხება პატარების შე-მოქმედებას, შაბათს მნახველე-ბი ნამდვილად ძნელი არჩევანის წინაშე იდგნენ, თუ რისთვის

უფრო მეტად მიექციათ ყუ-რადღება და რა შეეძინათ „შვიდფერი მუზების“ ნორჩ ქუ-რუმთა ნამუშევართა შორის. ნაირ-ნაირი სამშვენივლები, არაჩვეულებრივი ფანტაზიით და გემოვნებით გამოწყობილი ულამაზესი თოჯინები, პატარ-პატარა ქანდაკებები, მომხიბ-ლავი ნახატები, ნაქარგი და ნაქ-სოვი ხელჩანთები, სააგარაკო სახელებისა და კარ-მიდამოების ნაკვეთების მაკეტები – აი, ნორჩ ხელოვანთა უდიდესი მონ-დომებით და სიყვარულით შესრულებულ ნამუშევართა არასრული ჩამონათვალი.

რომელიმე ერთი საბავშ-ვო ბალის, ანდა, გენბავთ, რა-იონის ბავშვთა შემოქმედე-ბის გამოყოფა, რაღა თქმა უნდა, არა მარტო ძნელია, არამედ, უბრალოდ, შეუძ-ლებელიც, იმდენად შთამ-ბეჭდავი და მომხიბლავია ყველა ნამუშევარი, იმდენი გრძობა და განცდაა ჩადე-ბული თითოეულ მათგანში, მაგრამ ერთი პატარა გოგო-ნა მაინც განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში იყო მოქცეული. ეს ელენე ჯიჯიაშ-ვილი გახლავთ, რომელიც სა-მასხოვრო ავტოგრაფებით ამ-შვენებდა თავის... პირველ ნიგნ „ლას კორის თავგადასავალი“ – ასე ეწოდება 12 წლის ელენეს პირველ (თან მისივე ნახატებით დასურათებულ!) დასტამბულ ზღაპარს, რომელშიც საშინელი მეფის კარზე მოხვედრილი პა-



ტარა გოგონას ამბავია მოთხრობილი, რომელმაც ფა-თერაკებისგან თავის დაღწევა ახალ მეგობრებთან ერთად შეძ-ლო.

„ამის შემდეგ ყველა ძალიან ბედნიერი იყო, ტომმა და მაგ-დამ ოჯახი იპოვეს, რეზიკო რე-ზი კორი გახდა, ლასის და კა-რი კორი აღარ ტრიაბახობდა, ხოლო ნათივება და ის პატარა მოღურჯო თევზი ყოველდღე მოდიოდნენ მეგობრების სა-ნახავად და ყველა ძალიან ბედ-ნიერი იყო. აბა რა, ოჯახზე სა-უკეთესო რაღა უნდა იყოს?“

ჩვენც ყველანი ხომ ერთი დიდი ოჯახის წევრები ვართ, რომელსაც სრულიად საქართ-ველო ჰქვია და თითოეულ ჩვენ-განს ახლობლის, მით უმეტეს სწულლის გვერდში ამოდგომა ისევე გვმართებს, როგორც ამის მაგალითი ჩვენმა პატარე-ბმა მოგვცეს.

განა ასე არ არის, ბატონებო?!
ოთარ ტურაბაიძე

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS REPUBLIKA
სულხან-საბას ძ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
ბურამ გომიაშვილი
599 53-76-16;
ალექო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაქიძე
514 33-33-24

გამომცემლობა:
შპს „თანადგომი“-1 გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „**კოლორ პრესი**“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუქ-ვეთავი მასალები დაი-ბეჭდება ავტორთა ხარ-ჯით. ავტორთა მოსაზ-რებები, შესაძლოა, მუ-დამ არ ემთხვეოდეს რე-დაქციის პოზიციას. ფა-ქტების სიზუსტეზე პა-სუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“
შენი გაზეთი, აუსილებლად წაიკითხე!



უხსოვრი პალატის კარსი:
პუშ დოლარი - 2.4253; ეპრო - 2.7205;
ბრიტანული გირანა სტერლინგი - 3.1180;
100 რუბლი - 4.2785; თურქული ლირა - 0.6861;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4357;
1000 სომხური დრამი - 5.0317.

აივნი 6 ივნისისთვის
აქციონერული საპროექტი:
ბანი - ღამე +14, ღვ +32
პოიანი რაიონები - ღამე +10, ღვ +30
დასავლეთი საპროექტი:
ბანი - ღამე +15, ღვ +34
პოიანი რაიონები - ღამე +12, ღვ +32
თბილისი: ღამე +19, ღვ +31

დაგვიკავით, მოგვწერით:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge